პროფესიონალი ბუღალტრის განათლების სტანდარტები

პროფესიონალი ბუღალტრის განათლების სტანდარტი (გს) 1

პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების პროგრამაში ჩართვისათვის აუცილებელი წინაპირობა

სტანდარტის მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტი ადგენს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) წევრის განათლების პროგრამაში ჩართვის პირობებს.
2. სტანდარტის მიზანია უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის მსურველ პრეტენდენტებს გააჩნიათ მომზადების ისეთი დონე, რომელიც მათ მისცემს სწავლაში, საკვალიფიკაციო გამოცდასა და პრაქტიკულ გამოცდილებაში წარმატების მიღწევის გონივრულ შესაძლებლობას.

შესავალი

3. პროფესიის ღირსება არსებითად ვერ იქნება შენარჩუნებული და გაუმჯობესებული, თუ პროფესიის შემსწავლელი პირი მომზადებული არ იქნება აუცილებელი წესების შესასრულებლად. ბაფი მოწოდებულია ბუღალტრის პროფესიის შესასწავლად მოიზიდოს ღირსეული პიროვნებები. პროფესიის ღირსება, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია მისი წარმომადგენელი პირების ღირსებაზე. პროგრამაში ჩართვის მოთხოვნა პირველი ნაბიჯია ამ პროცესში. ჩართვისათვის დადგენილ მაღალ მოთხოვნებსა და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პირობებს შეუძლია პროფესიული განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნების უზრუნველყოფა დროის მოკლე პერიოდში.
4. **პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამაში ჩართვის მსურველ პირს მოეთხოვება საუნივერსიტეტო ან მისი ეკვივალენტური პროგრამის დონის განათლება.**
5. პროფესიონალი ბუღალტრის პროგრამაში ჩართვამდე პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა და ერუდიცია, რათა შეძლოს პროფესიული ცოდნის, გამოცდილებისა და პროფესიული ღირსების, ეთიკისა და ურთიერთობის დაუფლება, რომელიც აუცილებელია პროფესიონალ ბუღალტრად ჩამოსაყალიბებლად.
6. პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამის დამწყებ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა, გამოცდილება და წარმოდგენა პროფესიულ ღირსებაზე, ეთიკასა და ურთიერთობაზე. ამ უნარ-ჩვევების ხარისხი განსაზღვრავს განათლების პროგრამაში კანდიდატების ჩართვის მომენტს.
7. პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამაში ჩართვის საწყისი მოთხოვნა შეიძლება შეიცვალოს ბაფის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მაგრამ მისი დონე არ უნდა დაეშვას უმაღლესი განათლების მე-2 კურსის პროგრამაზე დაბლა და მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების სრული კურსი პრეტენდენტის მიერ მოსმენილი იქნება ბაფის მიერ ორგანიზებული წინასაკვალიფიკაციო სწავლების პროცესში.
8. პროფესიონალობის მიღწევის რომელი გზაც არ უნდა იქნეს გამოყენებული, მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიკაციის მინიჭების მომენტისათვის მიღწეულ იქნეს პროფესიული კომპეტენტურობის იდენტური დონე. ამიტომ პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამაში ჩართვის შეცვლილი საწყისი მოთ-

ხოვნა არ შეიძლება მუდმივი იყოს. პროგრამაში ჩართვის დროებით შერბილებული მოთხოვნა თანდათანობით უნდა გაიზარდოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამაში პრეტენდენტის მონაწილეობის წარმატების გარანტია.

9. პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამაში ჩართვის მოთხოვნების მაღალ დონეზე აყვანის მიზნით, ბაფ-ი პერიოდულად გამოიკვლევს საქართველოს საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში საბუღალტრო სპეციალობის სასწავლო პროგრამებს, სპეციალობისა და მომიჯნავე დისციპლინების სწავლის ხანგრძლივობას და, შესაბამისად, მიიღებს გადაწყვეტილებას კანდიდატების პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამაში ჩართვის მოთხოვნების შესახებ.

პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამის შინაარსი

სტანდარტის მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტი ადგენს პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამის შინაარსს, რომელსაც უნდა ფლობდნენ კანდიდატები პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის მისაღებად.
2. სტანდარტის მიზანია იმის გარანტია, რომ ბაფის (ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის) წევრობის (ნამდვილი წევრობის) კანდიდატებმა საკმარისად გაიღრმაონ პროფესიული ცოდნა საბუღალტრო საქმიანობაში, რათა მათ იმოქმედონ როგორც პროფესიონალმა ბუღალტრებმა სულ უფრო და უფრო რთულ და ცვალებად გარემოში. კომპეტენტურობის შენარჩუნების მიზნით, მათ საქმე ექნებათ მე-7 სტანდარტთან „უწყვეტი პროფესიული განვითარება“.
3. პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამის შემეცნების პირველადი ნაწილი წარმოდგენილია სამ მთავარ განყოფილებაში:
   ა. ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები და დაკავშირებული ცოდნა;
   ბ. ორგანიზაციული და საქმიანი ცოდნა; და
   გ. ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა.

   მოთხოვნილი პროფესიული ჩვევა და ზოგადი განათლების, პროფესიული ფასეულობის, ეთიკისა და ურთიერთობის შინაარსი და პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები მოცემულია გს 3-ში „პროფესიული უნარი“, გს 4-ში „პროფესიული ფასეულობა, ეთიკა და ქცევა“ და გს 5-ში „პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნები“.

შესავალი

4. ბუღალტრის პროფესიონალური განათლების მიღწევა შესაძლებელია აკადემიურ გარემოში ან პროფესიონალური საკვალიფიკაციო სწავლების დროს, უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ იგი უნდა იყოს საკვალიფიკაციო სწავლების ხარისხის დონის ეკვივალენტური. კანდიდატი უნდა დაეუფლოს პროფესიულ ცოდნას, პროფესიულ ჩვევასა და პროფესიულ ფასეულობებს, ეთიკასა და ქცევას და უნდა ახერხებდეს ამ ელემენტების გაერთიანებას.
5. პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამის ცოდნის კომპონენტი შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს პროფესიონალური ჩვევების განვითარებისათვის. მიღებული ცოდნა შეიძლება მოძველდეს მხოლოდ კარიერის უფრო გვიანდელ ეტაპზე. ამიტომ, მომავალი პროფესიონალი ბუღალტრისა და პროფესიის ხანგრძლივვადიან ინტერესში არ შედის ფართო დიაპაზონის მქონე საგნების შესწავლისადმო ზედაპირული დამოკიდებულება. მოთხოვნილი ინტელექტუალური უნარ-ჩვევა მოიცავს გაგებას, გამოყენებას, ანალიზსა და შეფასებას. კარიერის მანძილზე პროფესიული უნარი, ფასეულობა, ეთიკა და ქცევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კვალიფიკაციის მინიჭების მომენტში მიღებული პროფესიული ცოდნა.
6. პროფესიული უნარის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია იმის შემეცნება, სად შეიძლება მოთხოვნილი ცოდნის მიღება, რომელიც აუცილებელია პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის. მუდმივი სწავლის ვალდებულების ჩანერგვა, საბოლოო ჯამში, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოდნის ნებისმიერი ნაწილი. მუდმივი სწავლით მიიღწევა პროფესიონალისადმი მოთხოვნილი უნარი, ქცევა, რომელიც უნდა განვითარდეს და ფასეულობა, რომელსაც საზოგადოება იწონებს.
7. ცოდნა, რომელიც პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა შეიძინოს კომპეტენტურად მუშაობისათვის, იცვლება და ფართოვდება. ამასთან, პროფესიონალი

ბუღალტერი სპეციალიზდება თავისი კარიერის მანძილზე. ამიტომ, ეს სტანდარტი განსაზღვრავს მხოლოდ ძირითად თემებს, რომლითაც პროფესიონალმა ბუღალტერმა მუდმივად უნდა სრულყოს ცოდნა.

8. რამდენადაც სტანდარტი ფოკუსირებულია უმთავრესად პროფესიულ ცოდნაზე, რომელიც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის საქმიანობისათვის, იგი ასევე მოიცავს კომპეტენტურობას ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის კომპონენტებში. ეს კომპეტენტურობა იდენტიფიცირებულია საერთაშორისი განათლების დირექტივაში (IEG 11) „ინფორმაციული ტექნოლოგიები პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (გადაისინჯა 2003 წელს)“.

პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამის შინაარსი

9. **პროფესიონალი ბუღალტრის სწავლება უნდა იყოს წინასაკვალიფიკაციო პროგრამის შემადგენელი ნაწილი. ეს სწავლება საკმარისად ხანგრძლივი და ინტენსიური უნდა იყოს, რათა კანდიდატებს საშუალება მისცეს პროფესიული კომპეტენტურობისათვის მოთხოვნილი პროფესიონალური ცოდნის მისაღებად.**
10. **საბუღალტრო საქმის პროფესიონალური ცოდნა როგორც წინასაკვალიფიკაციო პროგრამის კომპონენტი, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა მოიცავდეს სრულ სამუშაო კვირიან ორწლიან სწავლებას (ან მის ეკვივალენტს არასრული სამუშაო კვირიანი სწავლებისას);**
11. **ცოდნის მისაღებად სტუდენტმა სწავლა უნდა გააგრძელოს ხარისხის მოსაპოვებლად, ან მისდიოს პროფესიულ კვალიფიკაციას;**
12. **პროფესიონალი ბუღალტრის განათლებამ უნდა მოიცვას:**
    ა) ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები და დაკავშირებული ცოდნა;
    ბ) საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის ცოდნა;
    გ) ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა და კომპეტენტურობა.
13. პროფესიული ცოდნის კომპონენტს ავსებს არაპროფესიული ცოდნა, ინტელექტი, ორგანიზაციისა და მართვის უნარი და ზოგადი განათლების განვითარება.
14. სავალდებულო არ არის სტანდარტში განხილული ცოდნა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით იქნეს მიღწეული. მაგალითად, პროფესიონალი ბუღალტრის ცოდნა შეიძლება მიღებულ იქნეს საუნივერსიტეტო ზოგად განათლებასთან ერთად, ან იგი შეიძლება მიღებულ იქნეს სხვა საუნივერსიტეტო პროგრამით განათლების მიღების შემდეგ, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტიპის კურსებით. ასეთ შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაციის პროგრამამ უნდა მოიცვას ამ სტანდარტში შეტანილი ყველა დაქვემდებარებული შემადგენლობა. გარდა ამისა, საგნები და პროგრამის ელემენტები შეიძლება გაერთიანდეს. მაგალითად, შესაძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების ასპექტების ჩართვა ბუღალტრული აღრიცხვის კურსში. ეს შეიძლება დაეხმაროს სწავლის პროცესს და კანდიდატებს, გაიგონ როგორ ურთიერთკავშირში იმყოფება ინდივიდუალური კომპონენტები.
15. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიონალური ცოდნის კომპონენტი წინასაკვალიფიკაციო პროგრამის მხოლოდ ნაწილია. იგი შეიძლება ან არ შეიძლება მიღებულ იქნეს აკადემიურ გარემოში. ზოგიერთი დონის პროგრამამ ბუღალტრულ აღრიცხვაში ცოდნის მისაღებად მოთხოვნილი ორი წელი შეიძლება კიდევ ორი წლით გაზარდოს. ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტის მომზადება ბევრმა შეიძლება სამწლიან არასპეციალიზებული სწავლების პროგრამაში ჩართოს. საერთო განათლების ზუსტი კომბინაცია სწავლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, სხვადასხვა პროგრამაში

განსხვავებული შეიძლება იყოს, ვიდრე არ მიიღწევა ეკვივალენტური პროფესიონალური კომპეტენტურობა.

16. ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები და დაკავშირებული ცოდნა უზრუნველყოფს ტექნიკურ საფუძველს პროფესიონალი ბუღალტრის წარმატებული კარიერისათვის. ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო პროგრამები დამოუკიდებლად იცვლება და მომავალშიც შეიცვლება, საბაზრო მოთხოვნების საპასუხოდ. ახალი თემები შედის სასწავლო გეგმაში და თემებს შორის შედარებითი თანაფარდობა იცვლება. ბაფ-მა შეიძლება მოისურვოს თემის დამატება ან შეცვალოს პროგრამის ბალანსი, სპეციფიკური გარემო პირობების მოთხოვნების შესრულების მიზნით.
17. საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის ცოდნა უზრუნველყოფს მდგომარეობას, რომელშიც პროფესიონალი ბუღალტერი მუშაობს. ბიზნესის, სამთავრობო და არამომგებიანი ორგანიზაციების კარგი ცოდნა აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრებისათვის. საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის ცოდნა მოიცავს იმას, თუ როგორაა ორგანიზებული, როგორ ფინანსდება და იმართება ბიზნესი და გლობალური გარემო, რომელშიც სამეურნეო ერთეული საქმიანობს.
18. ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ შეცვალა პროფესიონალი ბუღალტრის როლი. პროფესიონალი ბუღალტერი არა მარტო იყენებს საინფორმაციო სისტემებს, ანვითარებს ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოცდილებას და, ამასთან ერთად, როგორც გუნდის ნაწილი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასეთი სისტემების შეფასებაში, დაპროექტებასა და მართვაში.
19. ქვემოთ, სიაში შეტანილი საგნები წარმოადგენს პროფესიონალი ბუღალტრის მომზადების პროგრამის მინიმალურ დაქვემდებარებულ სფეროს.
20. **ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები და დაკავშირებული ცოდნა მოიცავს შემდეგ დაქვემდებარებულ სფეროებს:**
    ა) ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება;
    ბ) მმართველობითი აღრიცხვა და კონტროლი;
    გ) საგადასახადო დაბეგვრა;
    დ) საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი;
    ე) აუდიტი და მარწმუნებელი საქმიანობა;
    ვ) ფინანსები და ფინანსური საქმიანობის მართვა;
    ზ) პროფესიონალური ფასეულობა და ეთიკა.

21. ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები და დაკავშირებული ცოდნის კომპონენტი ანვითარებს და აერთიანებს ცოდნას, გამოცდილებას და პროფესიონალურ ფასეულობას და ეთიკას. იგი სტუდენტებს აძლევს ბუღალტრული აღრიცხვის აუცილებელ თეორიულ და ტექნიკურ ცოდნას და ინტელექტუალურ გამოცდილებას, პროფესიული ქცევისა და ეთიკის გაგების ჩათვლით. ამ კომპონენტში შედის:
    ა) ბუღალტრის პროფესიისა და ბუღალტრული აზროვნების განვითარების ისტორია;
    ბ) შიდა და გარე მოხმარების ანგარიშგების შინაარსი, კონცეფცია, სტრუქტურა და მნიშვნელობა, ფინანსური გადაწყვეტილებების მიმღებთა საინფორმაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცის როლის კრიტიკული შეფასების ჩათვლით;
    გ) ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები;

    დ) ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება;

ე) მმართველობითი აღრიცხვა, დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის, ფასების მართვის, ხარისხის კონტროლის ჩათვლით;

ვ) კონტროლის კონცეფცია, მეთოდი და პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური მონაცემების სიზუსტესა და სისწორეს და საწარმოს აქტივების დაცულობას;
ზ) საგადასახადო დაბეგვრა და მისი გავლენა ფინანსურ და ორგანიზაციულ გადაწყვეტილებაზე;
თ) საქმიანობის საკანონმდებლო გარემოს ცოდნა, ფასიანი ქაღალდებისა და სამეწარმეო კანონმდებლობის ჩათვლით;
ი) აუდიტისა და სხვა მარწმუნებელი მომსახურების ხასიათი, მათი შესრულებისათვის ინტელექტუალური და პროცედურული ბაზის, ასევე რისკის შეფასებისა და თაღლითობის გამოვლენის ჩათვლით;
კ) ფინანსებისა და ფინანსების მართვის ცოდნა, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის, ფინანსური ინსტრუმენტების, კაპიტალის შიდა და გარე ბაზრის ჩათვლით;
ლ) პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკური და პროფესიული ვალდებულება;
მ) სახელმწიფო და არამომგებიანი დაწესებულების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება;
ნ) მუშაობის ხარისხის არაფინანსური კრიტერიუმების გამოყენება საქმიანობაში.

22. საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის ცოდნამ უნდა მოიცვას შემდეგი დაქვემდებარებული სფეროები:
ა) ეკონომიკა;
ბ) ბიზნესის გარემო;
გ) საკორპორაციო მართვა;
დ) ბიზნესის ეთიკა;
ე) ფინანსური ბაზარი;
ვ) რაოდენობრივი მეთოდები;
ზ) ორგანიზაციული ქცევა;
თ) მართვა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება;
ი) მარკეტინგი;
კ) საერთაშორისო ბიზნესი და გლობალიზაცია.

23. საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის ცოდნა მომავალ პროფესიონალ ბუღალტრებს უზრუნველყოფს იმ გარემო პირობების ცოდნით, რომელშიც მეწარმეები მუშაობენ. იგი ასევე უზრუნველყოფს წინასაკვალიფიკაციო პერიოდში შეძენილი ყველა პროფესიული გამოცდილების გამოყენების წინამძღვრებს. საქმიანობის მართვის გაგების უნარი განსხვავდება მოქმედების, მონაწილეობისა და წვლილის შეტანის უნარისა და ჩვევისაგან.
24. საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის ცოდნაში შედის:
ა) მიკრო- და მაკროეკონომიკის ცოდნა;
ბ) ბიზნესი და ფინანსური ბაზრები და მათი მუშაობის ცოდნა;
გ) რაოდენობრივი მეთოდებისა და სტატისტიკის გამოყენება საქმიან პრობლემებში;

დ) საკორპორაციო მართვისა და ბიზნესის ეთიკის ცოდნა (გაგება);
ე) ორგანიზაციისა და გარემო პირობების ცოდნა (გაგება), რომელშიც ისინი მოქმედებენ, მთავარი ეკონომიკური, იურიდიული, პოლიტიკური,

სოციალური, ტექნიკური, საერთაშორისო და კულტურული ძალების, მათი გავლენისა და ფასეულობების ჩათვლით;

ვ) პერსონალისა და ადამიანური რესურსების, პროექტების მართვისა და მარკეტინგის ცოდნა (გაგება);

ზ) გადაწყვეტილებისა და სტრატეგიის მხარდაჭერის ცოდნა (გაგება), საქმიანი რჩევის, სტრატეგიული მართვისა და ზოგადი მართვის ჩათვლით;

თ) ორგანიზაციული და საოპერაციო რისკის გაგება;

ი) საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების, ასევე გლობალიზაციის პროცესების ელემენტარული ცოდნა და გზები, რომლითაც საერთაშორისო ბიზნესი ხორციელდება;

კ) ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გაერთიანება სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის.

25. ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპონენტმა უნდა მოიცვას შემდეგი დაქვემდებარებული სფეროები და კომპეტენცია:

ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების ზოგადი ცოდნა;

ბ) ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის ცოდნა;

გ) ინფორმაციული ტექნოლოგიების უნარის მართვა;

დ) საინფორმაციო სისტემების მმართველის, შემფასებლის ან დამპროექტებლის როლიდან ერთი ან შერეული უნარი.

26. ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის კომპონენტის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით. იგი შეიძლება მიღწეულ იქნეს, როგორც ცალკე კურსის შესწავლით, ისე საგნის გაერთიანებით საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის ცოდნის, ან ბუღალტრული აღრიცხვის, ან მის მომიჯნავე საგნებში.

პროფესიული უნარი

სტანდარტის მიზანი

1. სტანდარტი ადგენს უნართა ერთობლიობას, რომელიც კანდიდატს მოეთხოვება პროფესიონალ ბუღალტრად კვალიფიცირებისათვის.
2. სტანდარტის მიზანია ინტელექტუალური, ტექნიკური, პერსონალური, პერსონალთაშორისი და ორგანიზაციული უნარის ურთიერთ შერწყმით უზრუნველყოს ბაფის წევრთა ქმედება პროფესიონალი ბუღალტრის სახით. ეს მათ შესაძლებლობას აძლევს, თავიანთი კარიერის მანძილზე იმოქმედონ როგორც კომპეტენტურმა პროფესიონალებმა სულ უფრო და უფრო მზარდ მომთხოვნ გარემოში.
3. პროფესიონალი ბუღალტრის უნარისადმი მოთხოვნა თავმოყრილია ხუთ მთავარ ჯგუფში:
   - იტელექტუალური უნარი;
   - ტექნიკური და ფუნქციონალური უნარი;
   - პერსონალური უნარი;
   - პერსონალთშორისი და კომუნიკაციური უნარი;
   - ორგანიზაციული და ბიზნესის მართვის უნარი.
4. სტანდარტის ადრესატია ასევე ბიზნესთან კავშირის არმქონე სწავლება, რომელსაც წვლილი შეაქვს ამ უნარის განვითარებაში.

შესავალი

5. უნარი ეს არის შესაძლებლობათა ერთობლიობის ნაწილი, რომელიც პროფესიონალ ბუღალტერს მოეთხოვება კომპეტენტურობის დემონსტრირებისათვის. ეს შესაძლებლობები მოიცავს ცოდნას, უნარს, პროფესიულ ფასეულობას, ეთიკას და ქცევას. შესაძლებლობა პოტენციური კომპეტენტურობის ნიშანია, რომელიც სხვადასხვა გარემო პირობებში ადგილმონაცვლეობის (სამუშაოს გამოცვლის თვალსაზრისით) საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანია, რომ პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამამ გააერთიანოს სხვადასხვა ცოდნა, უნარი, პროფესიული ფასეულობა, ეთიკა და ქცევა.
6. შესაბამისი უნარი პროფესიონალ ბუღალტერს აძლევს ზოგადი განათლების საფუძველზე მიღებული ცოდნის საუკეთესო გამოყენების საშუალებას. უნარის შეძენა, გამოცდილების მსგავსად, ყოველთვის არ ხდება განსაზღვრული კურსის მეშვეობით. იგი მიიღწევა პროფესიონალი ბუღალტრის პროგრამის სრული ეფექტითა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლით.
7. სათანადო უნარი პროფესიონალ ბუღალტერს აძლევს ბაზარზე კონკურენტულ უპირატესობას და სასარგებლოა პიროვნების კარიერის განმავლობაში. შეუძლებელია ყველა უნარი განვითარდეს საკვალიფიკაციო მომზადების დროს. ზოგიერთი შეიძლება მიღწეულ იქნეს პროფესიული განვითარების პროცესში.

პროფესიონალი ბუღალტრის პროფესიული უნარი

8. პირი, რომელიც ისწრაფვის გახდეს პროფესიონალი ბუღალტერი, უნდა შეიძინოს შემდეგი უნარი:
   - **ინტელექტუალური უნარი;**
   - **ტექნიკური და ფუნქციონალური უნარი;**
   - **პერსონალური უნარი;**

- **პერსონალთშორისი და კომუნიკაციური უნარი;**
- **საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციული უნარი.**

9. ინტელექტუალური უნარი ხშირად იყოფა ექვს დონედ. ზრდადობის მიხედვით ესენია: ერუდიცია, აღქმა, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი (რამდენიმე სფეროს ცოდნის კომბინირებისა და დასკვნის გამოტანისათვის) და შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატმა ყველაზე მაღალ დონეს მიაღწიოს მომზადების მომენტში. ინტელექტუალური უნარი პროფესიონალ ბუღალტერს საშუალებას აძლევს გადაწყვიტოს პრობლემები, მიიღოს გადაწყვეტილება და კარგად იმსჯელოს რთულ ორგანიზაციულ სიტუაციაში. ეს უნარი ხშირად ფართო ზოგადი განათლების შედეგია. მოთხოვნილი ინტელექტუალური უნარი მოიცავს:
   ა) ზეპირი, ბეჭდვითი და ელექტრონული წყაროდან ინფორმაციის დადგენის, მოპოვების, ორგანიზებისა და აღქმის ნიჭს;
   ბ) კვლევის, ძიების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების, განსჯისა და კრიტიკული ანალიზის შესაძლებლობას;
   გ) უცნობ პირობებში არასტრუქტურიზებული პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის ნიჭს.

10. ტექნიკური და ფუნქციონალური უნარი შედგება ზოგადი უნარისა და საბუღალტრო საქმისადმი დამახასიათებელი უნარისაგან. მასში შედის:
   ა) გაწაფულობა გამოთვლასა (მათემატიკური და სტატისტიკური გამოყენება) და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში;
   ბ) გადაწყვეტილების მოდელირება და რისკის ანალიზი;
   გ) გაზომვა;
   დ) წარდგენა;
   ე) საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვა.

11. პერსონალური უნარი შეეხება პროფესიონალი ბუღალტრის ქცევასა და ურთიერთობას. ამ უნარის განვითარება ეხმარება პიროვნულ ერუდიციას და პერსონალურ სრულყოფას. იგი მოიცავს:
   ა) თვითკონტროლს;
   ბ) ინიციატივას, გავლენასა და თვითშემეცნებას;
   გ) შეზღუდული რესურსების ზღვარში პრიორიტეტების შერჩევისა და განსაზღვრის, ასევე მჭიდრო ზღვრული ვადების დასაკმაყოფილებლად სამუშაოს ორგანიზების ნიჭს;
   დ) ცვლილებების განჭვრეტა და ადაპტირების ნიჭს;
   ე) გადაწყვეტილების მიღებისას პროფესიონალური ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მნიშვნელობის გათვალისწინებას;
   ვ) პროფესიონალურ სკეპტიციზმს.

12. პერსონალთშორისი და კომუნიკაციური უნარი პროფესიონალ ბუღალტერს საშუალებას აძლევს სხვებთან ერთად იმუშაოს ორგანიზაციის სასარგებ-ლოდ, მიიღოს და გადასცეს ინფორმაცია, განსაჯოს არგუმენტირებულად და მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილება. პერსონალთშორისი და კომუნიკაციური უნარის კომპონენტები მოიცავს ნიჭს:
   ა) იმუშაოს სხვებთან საკონსულტაციო პროცესში, შეეწინააღმდეგოს და განმუხტოს კომფლიქტი;
   ბ) იმუშაოს ჯგუფში;
   გ) შეძლოს ურთიერთმოქმედება სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის ხალხთან;

დ) პროფესიონალურ სიტუაციაში აწარმოოს სასურველი მოლაპარაკება და მიაღწიოს შეთანხმებას;
ე) იმუშაოს ეფექტურად საწინააღმდეგო კულტურის გარემოცვაში;
ვ) ეფექტურად წარადგინოს, განიხილოს და დაიცვას საკუთარი თვალსაზრისი ფორმალური და არაფორმალური, წერილობითი და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის საშუალებებით;
ზ) ყურადღებით მოეკიდოს და გაიაზროს კულტურული და ენობრივი განსხვავებულობას.

13. პროფესიონალი ბუღალტრებისათვის სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდა საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციული უნარი. პროფესიონალ ბუღალტრებს სთხოვენ უფრო აქტიური როლი ითამაშონ ორგანიზაციის ყოველდღიურ მართვაში. მაშინ, როდესაც ბუღალტრის როლი შესაძლოა შემოფარგლული ყოფილიყო სხვების გამოსაყენებლად მონაცემთა მომზადებით, დღეს პროფესიონალი ბუღალტრები წარმოადგენენ გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის ნაწილს. ამიტომ, პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა განივითარონ როგორც ბიზნესის, ისე სახელმწიფო და გლობალური თვალთახედვა. საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციული უნარი მოიცავს:
ა) სტრატეგიულ დაგეგმვას, პროექტების მართვას, ადამიანებისა და რესურსების მართვას და გადაწყვეტილების მიღებას;
ბ) ამოცანის დასმისა და დელეგირების ნიჭს, ხელქვეითების მოტივირებისა და განვითარებისათვის;
გ) ლიდერობას;
დ) პროფესიულ განსჯასა და გამჭრიახობას.

ზოგადი განათლება

14. პროფესიული განათლების ყველა პროგრამაში ჩართული უნდა იყოს ზოგადი განათლების ზოგიერთი ნაწილი.

15. ზოგად განათლებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს პროფესიული უნარის შექენაში. ფართო ზოგად განათლებას შეუძლია წაახალისოს მუდმივი სწავლება და უზრუნველყოს ის საფუძველი, რომელსაც ემყარება პროფესიონალი და ბუღალტრული აღრიცხვის სწავლება. იგი აერთიანებს:
ა) განსხვავებული კულტურის ისტორიაში იდეებისა და მოვლენების განვითარების გაგებას თანამედროვე მსოფლიოსა და საერთაშორისო პერსპექტივაში;
ბ) ადამიანური ქცევების ელემენტარულ ცოდნას;
გ) მსოფლიოში ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ძალთა თანაფარდობიდან გამომდინარე იდეის მასშტაბურობის შეგრძნებას;
დ) რაოდენობრივ მონაცემთა კვლევისა და შეფასების კვალიფიკაციას;
ე) ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების შეფასებას;
ვ) პიროვნული და სოციალური ფასეულობების შემეცნებას;
ზ) განსჯის ფასის ცოდნას.

16. ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია სხვადასხვა გზით. ზოგად განათლებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროგრამის ნებისმიერ სტადიაზე ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ თემებთან დაბალანსებით, მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსებისა და დაკავშირებული ცოდნის, ორგანიზაციული და ბიზნესის ცოდნისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის შეძენის სტადიაზე.

17. კანდიდატებს ასევე თავდაპირველად შეუძლიათ მიიღონ არა ბუღალტრული ცოდნა და შემდეგ შეიძინონ აუცილებელი ცოდნა პროფესიონალი ბუღალ-

ტრის საკვალიფიკაციო საგნებში, პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი გამოცდებისათვის მზადების პროცესში. კანდიდატებს ასევე შეუძლიათ უნარი შეიძინონ სამუშაოზე გამოცდილების მიღების გზით, გამოცდებისათვის მზადებასთან ერთად. ასეთი კომბინაციით ირწყმება ზოგადი განათლება და უნარი და ამგვარად ვითარდება კომპეტენტურობა და შესაძლებლობა, ძირითადი ტექნიკური ცოდნის ჩათვლით, რომელიც მოითხოვება პროფესიონალ ბუღალტრად კვალიფიცირებისათვის.

პროფესიული ფასეულობა, ეთიკა და ქცევა

სტანდარტის მიზანი

1. სტანდარტი განსაზღვრავს, რომ პროფესიული ფასეულობა, ეთიკა და ქცევა პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა შეიძინონ წინასაკვალიფიკაციო განათლების პროგრამის მიმდინარეობისას.
2. სტანდარტის მიზანი მდგომარეობს იმის გარანტიის შექმნაში, რომ ბაფის ნამდვილი წევრობის კანდიდატები აღჭურვილი არიან შესაბამისი პროფესიული ფასეულობით, ეთიკითა და ქცევით, რათა იმოქმედონ პროფესიონალი ბუღალტრის სახით.

შესავალი

3. საზოგადოებას ბუღალტრის პროფესიის მიმართ გააჩნია დიდი მოლოდინი. პროფესიონალი ბუღალტრისათვის მნიშვნელოვანია, რომ მიიღოს და დაიცვას ეთიკური პრინციპები, რომელიც არეგულირებს ყველა მის ქცევას. პროფესიული ფასეულობა, ეთიკა და ქცევა ახდენს პროფესიონალი ბუღალტრის პროფესიის წევრად იდენტიფიცირებას და ქმნის პროფესიონალი ბუღალტრის შესაფერისად მოქმედების პირობებს. ბაფ-ის პასუხისმგებლობაა, მის წევრებს ჰქონდეთ ადეკვატური გაგება პროფესიული ეთიკის პრინციპებისა და ძირითადი ლოგიკურად საფუძვლიანი შეზღუდვების, რომლის ჩარჩოებშიც პროფესიული ეთიკა აქცევს პროფესიონალ ბუღალტერს.
4. რამდენადაც პროფესიონალი ბუღალტრები მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში, მათ უნდა ჰქონდეთ სრული წარმოდგენა პროფესიული და ორგანიზაციული გადაწყვეტილებების ეთიკურ მნიშვნელობაზე.
5. პროფესიონალი ბუღალტრები მუშაობენ ცვალებად გარემოში. კარგი კორპორაციული და საზოგადოებრივი მართვა ძალიან დამოკიდებულია პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევისადმი ერთგულებაზე. ასეთ მდგომარეობაში მნიშვნელოვანია ნათელი წარმოდგენა ეთიკურ პრინციპებზე.
6. პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა უნდა იქცეს პრეტენდენტების საკუთარ წესად განათლების სტრუქტურის ფარგლებში. მომავალი პროფესიონალი ბუღალტრები თავიანთ საქმიანობაში უნდა გრძნობდნენ პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, რათა მათ პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა არ ეგონოთ მეორეხარისხოვანი განათლების პროგრამაში.
7. პედაგოგებმა და პროფესიულმა ორგანიზაციამ უნდა განასხვავონ სტუდენტებისათვის პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის სწავლება და ეთიკური ქცევის ათვისება და განვითარება. პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის განვითარება უნდა დაიწყოს პროფესიონალი ბუღალტრის განათლების ადრეულ სტადიაზე და უნდა განმეორდეს კარიერის განმავლობაში. პროფესიონალმა ბუღალტერმა იგი უნდა განიხილოს როგორც მუდმივი (განგრძობითი) სწავლების ნაწილი.

პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა

8. **პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამამ პოტენციური პროფესიონალი ბუღალტრები უნდა უზრუნველყოს პროფესიული ფასეულობებით, ეთიკითა და ქცევით პროფესიული მსჯელობისა და ეთიკური მანერებით მოქმედებისათვის, რომელიც საზოგადოებისა და პროფესიის ინტერესშია.**

9. **პროფესიონალი ბუღალტრისათვის აუცილებელი ფასეულობები, ეთიკა და ქცევა მოიცავს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ეთიკის კოდექსის შესაბამისი ადგილობრივი ეთიკის კოდექსის შესრულების ვალდებულებას.**
10. **პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამაში ფასეულობებისა და ქცევების მოცულობამ უნდა განაპირობოს შემდეგი ვალდებულებების შესრულება:**
    ა) საზოგადოებრივი ინტერესი და სოციალური ვალდებულებებისადმი მგრძნობიარობა;
    ბ) უწყვეტი სრულყოფა და მუდმივი სწავლება;
    გ) საიმედოობა, პასუხისმგებლობა, დროულობა, გულისხმიერება და პატივისცემა;
    დ) კანონები და ინსტრუქცია.
11. **მაშინ, როდესაც პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევების შესწავლის ყოველი პროგრამის მიდგომა ასახავს საკუთარი ეროვნული და კულტურული გარემოს მიზნებს, როგორც მინიმუმ, ყველა პროგრამამ უნდა მოიცვას:**
    ა) ეთიკის ხასიათი;
    ბ) ეთიკაზე, მის უპირატესობასა და ნაკლოვანებაზე დაფუძნებული წესების სხვადასხვა დეტალები;
    გ) პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენტურობისა და სათანადო სიფრთხილის ვალდებულებისა და კონფიდენციალურობის ფუნდამენტურ ეთიკურ პრინციპებთან შესაბამისობა;
    დ) პროფესიონალური ქცევა და ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა;
    ე) დამოუკიდებლობის, სკეპტიციზმის, პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივი მოლოდინის კონცეფცია;
    ვ) ეთიკა და პროფესია: სოციალური პასუხისმგებლობა;
    ზ) ეთიკა და კანონი, კანონებს, ინსტრუქციებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის ურთიერთობის ჩათვლით;
    თ) პიროვნების არაეთიკური ქცევის გავლენა პროფესიასა და, მთლიანად, საზოგადოებაზე;
    ი) ეთიკის კავშირი ბიზნესთან და კარგ ხელმძღვანელობასთან;
    კ) ეთიკა და ინდივიდუალური პროფესიონალი ბუღალტერი: ინტერესთა კონფლიქტი, ეთიკური დილემა და მათი გადაწყვეტა.

პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის სწავლება

12. პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მომავალ პროფესიონალ ბუღალტრებს განსახილველი საგანი შეიძლება წარედგინოს როგორც ცალკე თემა. რამდენადაც სტუდენტები პროგრესს განიცდიან და იღებენ უფრო ფართო ცოდნას სხვა საგნებში, შესაბამისი იქნება საგნების გაერთიანება. ეს წაახალისებს სტუდენტებს, მოძებნონ და განიხილონ სხვა საგნების შესწავლისას განხილული, შესაძლო ეთიკურად მნიშვნელოვანი საკითხები.
13. სტუდენტებმა უნდა შეიგნონ, რომ ფასეულობები, ეთიკა და ქცევა შეეხება ყველაფერს, რასაც პროფესიონალი ბუღალტრები აკეთებენ და როგორ შეაქვთ მათ წვლილი ბაზარზე ნდობასა და რწმენაში. უნდა წახალისდეს სტუდენტების მიერ შესაფერისი ეთიკის კოდექსის როლის შესწავლა და კრიტიკული შეფასება. სტუდენტები შეიძლება მოწვეულ იქნენ პროფესიული გადაწყვეტილების მიღების დროს, რათა შეიქმნას ნდობისა და პატიოსნების ატმოსფერო, რომლის ფარგლებშიც პროფესიონალი ბუღალტრები მუშაობენ.

სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რათა შეისწავლონ სხვა პროფესიის ეთიკური გადაწყვეტილებები და გამოიკვლიონ და განიხილონ სხვა პოტენციური მიდგომები ბუღალტრის პროფესიისადმი. კოდექსის მექანიკური შესწავლა და მეხსიერების შემდგომი გამოცდა ვერ მოიტანს სასურველ შედეგს.

14. სტუდენტი ბუღალტრებისათვის პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ახსნა უფრო ეფექტური იქნება თანამონაწილეობის მიდგომის გამოყენებით. მან შეიძლება მოიცვას:
    ა) მასალის შესწავლა მრავალარგუმენტიანი კაზუსური მასალის სწავლების გამოყენებით;
    ბ) როლის თამაში;
    გ) შერჩეული ლექციისა და ვიდეომასალის გარჩევა;
    დ) ეთიკური დილემის მომცველი ცხოვრებისეული ბიზნესის რეალური სიტუაციის ანალიზი;
    ე) დისციპლინარული განცხადებისა და გადაწყვეტილების განხილვა;
    ვ) სემინარები ზოგადი და პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების გამოცდილების მქონე სპიკერების გამოყენებით.
15. პროფესიონალი ბუღალტრებისათვის მნიშვნელოვანია, ისწავლონ პრაქტიკული ეთიკური გამოცდილებიდან. ამ თვალსაზრისით, განათლების პროგრამამ უნდა მოიცვას მიმოხილვა, როდესაც სტუდენტი მოითხოვს, განხილულ იქნეს გამოცდილება, რამ იმუშავა კარგად, რამ ვერ იმუშავა და როგორი მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული მომავალში ანალოგიურ ვითარებაში.

სამუშაო ადგილის შესწავლა და პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა

16. პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევები ეხება ყველა პროფესიონალი ბუღალტრის სამუშაოს. სათანადო ეთიკური ქცევა ისე მნიშვნელოვანია, როგორც ტექნიკური კომპეტენტურობა. ორგანიზაცია მოითხოვს, რომ სტაჟიორებმა მიიღონ შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება ნამდვილ წევრად გახდომამდე. შესაბამისად, სწავლებისა და პრაქტიკული გამოცდილების პერიოდი უნდა იყოს სტრუქტურიზებული, რათა სტაჟიორებს შესაძლებლობა მიეცეთ დააკვირდნენ პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევების გამოყენებას სამუშაო სიტუაციაში.
17. პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაკვირვების პასუხისმგებლებმა თავიანთ სტაჟიორებთან ხაზი უნდა გაუსვან სამუშაო ადგილზე პროფესიონალი ბუღალტრის საქმიანობაში ეთიკური განზომილების როლს. ეს შეიძლება გაკეთდეს სტაჟიორების წახალისებით, მოახდინონ სამუშაო ადგილზე ეთიკური შემთხვევებისა და კონფლიქტების იდენტიფიცირება, ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით წინასწარი შეფასების ჩამოყალიბება და მათი განხილვა უფროსთან.
18. ხელმძღვანელებთან და დამკვირვებლებთან განხილვის გარდა, სტაჟიორებისათვის არსებობს ეთიკური პრობლემების განხილვის სხვა გზა. მაგალითად, განხილვა ან ინტერვიუ ორგანიზაციის ფარგლებში სხვა მოსამსახურე პერსონალთან.
19. სტაჟიორები და პროფესიონალ ბუღალტრებად ახლად კვალიფიცირებული პირები სარგებელს მიიღებენ დამქირავებლის სამუშაოსთან დაკავშირებული პოტენციური ეთიკური მნიშვნელობის მქონე შესაბამისი პრობლემების განხილვაში მონაწილეობით. მაგალითად, მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის განხილვაში, რომელიც დაკავშირებულია:
    ა) პროფესიონალი ბუღალტრის სამუშაო (საწარმოს პოლიტიკით და დამკვირვებელთა ინსტრუქციით განსაზღვრული ვალდებულებების ჩათვლით) და მათ პროფესიულ ვალდებულებებთან (რომელიც განსაზღვრულია პროფესიული ეთიკის კოდექსით);

ბ) ინფორმაციის კონფიდენციალობასთან, კონფიდენციალობის ზღვრის ჩათვლით;

გ) პროფესიული ორგანიზაციის მოწყობასა და მიზანთან (წევრების სასარგებლოდ ლობისტური საქმიანობის ჩათვლით);

დ) პროფესიონალი ბუღალტრების ინტერესთა კონფლიქტთან შეჯახების სხვადასხვა გზებთან, მაგალითად, არაჯეროვანი დაცვა და შემოსავლების მართვა.

20. ეთიკური პრობლემები და დილემები შეიძლება ხდებოდეს. როდესაც არსებობს ეჭვი საქმიანობის კურსისა და სიტუაციის ეთიკურ ასპექტებზე, სტაჟიორმა კონსულტაცია უნდა მიიღოს ზოგიერთ აღიარებულ ეთიკურ მაკონტროლებელ ორიენტირზე, სამუშაო გარემოს ფარგლებში, ან ბაფ-ისაგან იმის შესახებ, რა არ შეიძლება იყოს საქმიანობის კურსის შესაბამისი.

პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნები

სტანდარტის მიზანი

1. სტანდარტის მიზანია იმის გარანტია, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის პრეტენდენტებმა კვალიფიკაციის მინიჭების მომენტისათვის მიღებული აქვთ ისეთი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც შესაფერისია კომპეტენტური პროფესიონალი ბუღალტრისათვის.
2. შემდგომი განვითარება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, რათა დაკმაყოფილდეს საზოგადოების მხრიდან პროფესიონალისადმი წაყენებული მოთხოვნები. ყველა შემთხვევაში, პროფესიული კომპეტენტურობის შესანარჩუნებლად მოითხოვება სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე.

შესავალი

3. პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამით მიღებული ცოდნის დამატებით, პროფესიონალი ბუღალტრის სამუშაოს შესასრულებლად პრაქტიკული გამოცდილება მოითხოვება მანამ, სანამ კანდიდატი საზოგადოებაში გამოჩნდება, როგორც პროფესიონალი ბუღალტერი.

პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნა

4. პროფესიონალი ბუღალტრის სამუშაოს შესრულების პრაქტიკული გამოცდილების პერიოდი უნდა იყოს წინასაკვალიფიკაციო პროგრამის ნაწილი. ეს პერიოდი უნდა იყოს საკმაოდ ხანგრძლივი და ინტენსიური, რათა კანდიდატებმა შეძლონ იმის დემონსტრირება, რომ მათ შეიძინეს თავიანთი სამუშაოს კომპეტენტურად შესრულებისა და კარიერის მანძილზე განვითარებისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა, პროფესიული გამოცდილება და პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა.
5. პრაქტიკული გამოცდილების პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ სამი წელი.
6. მთელი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისი შერწყმის გზით ჩამოყალიბდეს კომპეტენტური პროფესიონალი ბუღალტერი. მათი კომბინაცია შეიძლება იცვლებოდეს, ვიდრე მე-4 და მე-5 პუნქტის მიზნები არ იქნება მიღწეული. პრაქტიკული გამოცდილებისათვის მოთხოვნილი დროის უბრალო ხარჯვა საკმარისი არ არის. სტაჟიორებმა უნდა მოახდინონ მიღწეული კომპეტენტურობის დემონსტრირება.
7. პრაქტიკული გამოცდილება შეიძლება მიღებულ იქნეს სასწავლო პროგრამის შემდეგ ან მის პარალელურად.
8. პრაქტიკული გამოცდილება აიარაღებს პროფესიული გარემოთი, რომელშიც სტაჟიორი სრულყოფს კომპეტენტურობას:
   ა) ორგანიზაციასთან დაკავშირებით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობისა და საქმიან ურთიერთობებთან მიმართებით თავისი წარმოდგენის გაღრმავებით;
   ბ) საბუღალტრო საქმეების სხვა საქმიან ურთიერთობებთან და ფუნქციებთან დაკავშირების შესაძლებლობებით;
   გ) გარემო პირობების გაცნობით, რომელშიც მომსახურების გაწევა ხდება;
   დ) შესაბამისი პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ურთიერთობების პრაქტიკაში, რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში განვითარებით;

ე) პასუხისმგებლობის პროგრესულ დონეზე მუშაობის შესაძლებლობის არსებობით.

მართვა და კონტროლი

9. ბაფი უნდა იყოს იმის გარანტი (თავდები), რომ პრაქტიკული გამოცდილება, რომლიდანაც კანდიდატმა სარგებელი მიიღო, დამაკმაყოფილებელია. სტაჟირება, რომელსაც მივყავართ პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციამდე, უნდა განხორციელდეს ორგანიზაციის გამოცდილი წევრის ხელმძღვანელობით. პრაქტიკული გამოცდილების ეფექტური პროგრამისათვის აუცილებელია ბაფის, სტაჟიორის, ხელმძღვანელისა და დამქირავებლის ერთად მუშაობა.
10. პრაქტიკული გამოცდილების პროგრამა სტაჟიორისა და დამქირავებლისათვის უნდა იყოს ურთიერთსასარგებლო და ერთობლივად განვითარებული. ანგარიში პრაქტიკულად მიღებული გამოცდილების შესახებ პერიოდულად უნდა განიხილებოდეს ხელმძღვანელის მიერ.
11. სტაჟიორისათვის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის მინიჭებამდე აუცილებელია პროფესიულმა ორგანიზაციამ შეაფასოს სტაჟიორის მიერ მიღებული პრაქტიკული გამოცდილება, დამკვირვებლის ან ხელმძღვანელის მიერ განხილული წერილობითი და შეიძლება სტაჟიორის მიერ გაკეთებული ზეპირი ანგარიშის საფუძველზე.
12. ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულებაში ხელმძღვანელს ორგანიზაციიდან შეიძლება დაეხმაროს სხვა პირი, რომელიც შესაძლოა არ იყოს პროფესიონალი ბუღალტერი.
13. პრაქტიკული გამოცდილების პროგრამა უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს, რათა დაკმაყოფილდეს ბაფ-ის მიერ დადგენილი გამოცდილების მოთხოვნა. იგი ასევე ქმედითი და მომგებიანია დამქირავებლისათვის, მიუხედავად იმისა დამქირავებელი მოქმედებს მრეწველობაში, ვაჭრობაში, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სექტორში.
14. ხელმძღვანელებს შეუძლიათ დაამყარონ მნიშვნელოვანი კავშირი ორგანიზაციასა და სტაჟიორებს შორის. ისინი შეიძლება იყვნენ პასუხისმგებელნი პრაქტიკული გამოცდილების პერიოდის დაგეგმვასა და სტაჟიორის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფაში.
15. გამოცდილების ანგარიში, სტაჟიორისათვის დადგენილი სრული პროგრამის ფარგლებში, უნდა იყოს რეგულარული, რათა გარანტირებული იყოს პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულება. თუ პროგრამის ფარგლებში წინსვლა არ შეესაბამება განვითარების მოსალოდნელ დონეს, სიტუაცია უნდა იქნეს განხილული მიზეზის აღმოსაჩენად და იმის დასადგენად, თუ რა და როგორ გაკეთდეს სიტუაციის გამოსასწორებლად.
16. გარანტირებული რომ იყოს შესაბამისი გამოცდილების მიღწევა, ბაფ-მა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:
    ა) მონიტორინგის სისტემის დაწესება, ჩვეულებრივ შერჩევის გზით, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულად მიღებული გამოცდილების შემოწმებასა და ანგარიშგებას;
    ბ) მეწარმეების, ხელმძღვანელებისა და სტაჟიორების უზრუნველყოფა მათი როლისა და ვალდებულებების და პრაქტიკული გამოცდილების პროგრამის შესახებ დეტალური წერილობითი სახელმძღვანელოთი;
    გ) სტაჟიორის შესაბამისი გამოცდილების უზრუნველყოფისათვის შესაფერისი დამქირავებლის შერჩევის მექანიზმის დადგენა;

დ) პრაქტიკული გამოცდილების გარემოს შეფასება და მოწონება გამოცდილების მიღების დაწყებამდე (მაგალითად, პრაქტიკული გამოცდილების ბუნება და შესაძლებლობა და დამქირავებელთა სასწავლო ღონისძიებები უნდა იქნეს განხილული, რათა გარანტირებული იყოს, რომ სტაჟიორი მიიღებს სათანადო მითითებას, დაკვირვებას, მინიშნებას, რეკომენდაციასა და შეფასებას);

ე) მიღებული პრაქტიკული გამოცდილების შემოწმება, წევრობამდე სტაჟიორის მიერ წარმოდგენილი წერილობითი და შეიძლება ზეპირი ანგარიშის საფუძველზე;

ვ) დამქირავებლისა და ხელმძღვანელის წინასწარი შერჩევა;

ზ) პერიოდული ანგარიშგების სისტემის დაწესება.

პროფესიული შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის შეფასება

სტანდარტის მიზანი

1. სტანდარტი განსაზღვრავს მოთხოვნებს კანდიდატის პროფესიული შესაძლებლობისა და კომპეტენტურობის წინასაკვალიფიკაციო საბოლოო შეფასებისათვის.
2. სტანდარტი დაკავშირებულია პროფესიული განათლების პროგრამით მიღებული პროფესიული შესაძლებლობის (პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარი და პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა) შეფასებასთან.
3. განათლების სტანდარტების მიზნებისათვის პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარი და პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა მთლიანობაში იწოდება როგორც „შესაძლებლობა“. შესაძლებლობა არის ინდივიდების ნიშან-თვისება, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, საქმის ცოდნით შეასრულონ თავიანთი როლი.
4. ზოგიერთი კომპეტენცია, პროფესიული უნარი და ფასეულობები შესაძლოა უკეთ იქნეს მოპოვებული პრაქტიკული გამოცდილებით და უკეთ შეფასებული სამუშაო ადგილზე ან სამუშაო ადგილის მოდელირებით.

შესავალი

5. ბაფი, როგორც IFAC–ის წევრი ორგანიზაცია, პასუხს აგებს იმაზე, რომ გააჩნდეს ისეთი პროცედურები, რომლითაც წევრად აღიარებული იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის კანდიდატები. ზოგი შეფასება შეიძლება გაკეთდეს შესაძლებლობისა და კომპეტენტურობის საბოლოო შეფასებამდე.
6. კანდიდატს უნდა გააჩნდეს იმის დემონსტრირების უნარი, რომ:
   ა) გააჩნია ნორმალური ტექნიკური ცოდნა სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში;
   ბ) შეუძლია ტექნიკური ცოდნის გამოყენება ანალიტიკურ და ტექნიკურ ქმედებებში;
   გ) შეუძლია სხვადასხვა საგნებიდან მიიღოს ცოდნა, რომელიც საჭიროა მრავალმხრივი და რთული პრობლემების გადასაჭრელად;
   დ) მოცემული კორპორაციის მონაცემებიდან შესაბამისი და არაშესაბამისი ინფორმაციის გარჩევით შეუძლია სპეციფიკური პრობლემის გადაჭრა;
   ე) მრავალმხრივი პრობლემების სიტუაციაში შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება და გადაწყვეტის თანმიმდევრობის შეფასება;
   ვ) დაუშვას, რომ შეიძლება იყოს ალტერნატიული გადაწყვეტა და შეაფასოს განსჯის როლი;
   ზ) შეუძლია გააერთიანოს სხვადასხვა სფეროს ცოდნა და გამოცდილება;
   თ) შეუძლია მომხმარებლებთან ეფექტური კავშირი, რეალისტური რეკომენდაციების მოკლედ და ლოგიკური ხერხით ფორმულირებით;
   ი) შეუძლია ეთიკური დილემის იდენტიფიცირება.
7. კვალიფიკაციის პროცესის პრაქტიკული გამოცდილების ნაწილის დანიშნულებაა გააიოლოს განვითარება და წარმართოს პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარის და პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის გამოყენება. საბოლოოდ, მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებით ახდენს სტაჟიორი მის მიერ პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესრულებაში კომპეტენტურობის დემონსტრირებას.

პროფესიული შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის შეფასება

8. პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის მინიჭებამდე უნდა შეფასდეს კანდიდატების პროფესიული შესაძლებლობა და კომპეტენტურობა. ბაფი პასუხისმგებელია საბოლოო შეფასებაზე, რომ კანდიდატს გააჩნია მომდევნო პუნქტში მოტანილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაცია.
9. **პროფესიული შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის საბოლოო შეფასება უნდა:**
   ა) მოითხოვდეს კანდიდატების პასუხების მნიშვნელოვან პროპორციას წერილობით;
   ბ) იყოს საიმედო და ნამდვილი;
   გ) მოიცავდეს პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარის და პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მთელი დიაპაზონის საკმარის რაოდენობას, რათა შეფასება ნდობას იმსახურებდეს;
   დ) იყოს გაკეთებული რეალობასთან მჭიდრო კავშირში წინასაკვალიფიკაციო პროგრამის დასასრულისათვის.
10. პროფესიული შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის შეფასება ემსახურება რამდენიმე მიზანს. პირველ რიგში ბაფს, როგორც IFAC-ის წევრი ორგანიზაცია პასუხისმგებელია იმის გარანტიაზე, რომ პროფესიონალ ბუღალტერს გააჩნია ისეთი შესაძლებლობა და კომპეტენტურობა, როგორსაც მოელიან მეწარმეები, კლიენტები და საზოგადოება. მეორე, პირი, რომელიც ფუნქციურად ვალდებულია იზრუნოს თავისი კლიენტების, დამქირავებლისა და შესაბამისი აქციონერებისათვის, საჭიროა თავისი შესაძლებლობა აჩვენოს კომპეტენტური მანერით შეასრულოს ეს მოვალეობა. მესამე, საზოგადოების ინტერესი დაცულია და პროფესიის ნდობა გაზრდილია, როდესაც პროფესიონალი ბუღალტრობა ნებადართულია მხოლოდ მათთვის, ვინც ასრულებს პროფესიის კომპეტენტურობის სტანდარტებს.
11. კრიტიკული აზრი მდგომარეობს იმაში, რომ არის თუ არა შეფასება საიმედო და ნამდვილი. საიმედო შეფასებები თანმიმდევრულ, ობიექტურ შედეგს იძლევა გარკვეული დროის შემდეგ. შეფასების ნამდვილი (ძალამოსილი) მეთოდები აფასებს სასურველ შედეგებს და შეუძლია გამოიყენოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები (საზომი). შეფასება უნდა იყოს მისაღები საწარმოს პარტნიორებისათვის და ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესებს.
12. შეფასება უნდა იყოს შესაფასებელი პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარის და პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის შესაბამისი.
13. არარეალურია შესაძლებლობისა და კომპეტენტურობის მთელი დიაპაზონის შეფასება ნებისმიერ ერთ სესიაზე, მთელი დიაპაზონი მოცული უნდა იყოს რამდენიმე სესიაზე. ზოგიერთი მასალა შეიძლება მოცული იყო ადრე და ექსპერტს უფლება აქვს ივარაუდოს, ეს მასალა ათვისებული და გაგებულია. სხვა შემთხვევაში ზოგიერთი კომპეტენტურობიდან შეიძლება შეფასებული იყო პრაქტიკული გამოცდილების პერიოდის მსვლელობისას.
14. კანდიდატთა პროფესიული შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის შეფასების საკმარისი მტკიცებულების უზრუნველსაყოფად, შეფასებამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს მნიშვნელოვნი წონის მქონე პასუხი.
15. კანდიდატებმა ასევე უნდა შეძლონ იმის დემონსტრირება, რომ მათ შეუძლიათ მდგომარეობის დიაპაზონის ყველა სხვადასხვა ელემენტის გაერთიანება და მათი გამოყენება პროფესიონალ ბუღალტრად მუშაობისას.
16. შეფასებამ შეიძლება ასევე მოიცვას ზეპირი ან ჯგუფური შეფასება, როგორც ობიექტური გამოცდის დამატებითი წყარო. სცენარზე დაფუძნებული კითხვები და სიტუაციური მაგალითები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინტელექტუალური გამოცდილების მაღალ დონეზე შესამოწმებლად. შეფასება უნდა იყოს

პროფესიონალი ბუღალტრის შესაბამისი სიძნელის დონეზე, რათა შენარჩუნდეს შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის საბოლოო ტესტირების სანდოობა.

17. პროფესიული შესაძლებლობა და კომპეტენტურობა შეიძლება შეფასდეს ინდივიდის წინასაკვალიფიკაციო პროგრამის მთელი რიგი ნაწილების მიხედვით. თუმცა, საბოლოო საკვალიფიკაციო შეფასება, როგორც რეალობასთან დაახლოებული, უნდა განხორციელდეს ინდივიდის წინასაკვალიფიკაციო პროგრამის დასრულებისათვის. ამ საბოლოო შეფასებამ უნდა მოიცვას პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარის და პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის საკმარისი ძირითადი ნაწილი, რომელიც აუცილებელია იმის სადემონსტრაციოდ, რომ ინდივიდს გააჩნია პროფესიონალ ბუღალტრად კვლიფიცირებისათვის აუცილებელი შესაძლებლობა და კომპეტენტურობა.

პროფესიული განვითარების გაგრძელება: განგრძობითი სწავლების პროგრამა და პროფესიული კომპეტენციის განვითარების გაგრძელება

სტანდარტის მიზანი

27. წინამდებარე სტანდარტი ადგენს, რომ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი):
    ა) აწესებს პროფესიონალი ბურალტრების განგრძობითი სწავლების ვალდებულებას;
    ბ) უზრუნველყოფს პროფესიული შესაძლებლობების განვითარების გაგრძელების ხელმისაწვდომობას და რესურსებს მის წევრებისათვის;
    გ) საზოგადოების ინტერესის დაცვის უზრუნველსაყოფად აწესებს წევრების მიერ პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებისა და განვითარების განმსაზღვრელ პირობებს;
    დ) აკონტროლებს პროფესიონალი ბურალტრების პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებასა და განვითარების გაგრძელებას.
28. ეს სტანდარტი ემყარება იმ პრინციპს, რომ ყოველი პროფესიონალი ბურალტრის მოვალეობაა განავითაროს და შეინარჩუნოს პროფესიული კომპეტენტურობა, რომელიც აუცილებელია კლიენტების, დამქირავებლებისა და სხვა აქციის მფლობელებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების გასაწევად.

შესავალი

29. სტანდარტი ადგენს, რომ ორგანიზაციის წევრი ასრულებს პროფესიული განვითარების გაგრძელებას (**პგგ**), როგორც პროფესიონალი ბუღალტრის ხანგრძლივი წევრობის კომპონენტის შემადგენელ მოთხოვნას. ასეთ მოთხოვნას წვლილი შეაქვს პროფესიის მიზნის განხორციელებაში – უზრუნველყოს მაღალხარისხიანი მომსახურება საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
30. სტანდარტი ნერგავს **პგგ**-ის სათანადო (რელევანტურ), შემოწმებად და ცოდნის მისაღები მოქმედებისა და შედეგის შეფასებად კონცეფციას.
31. პგგ დამოკიდებულია მოქმედებებზე ცოდნის მისაღებად, რომელიც პროფესიონალ ბუღალტერს უნვითარებს და უნარჩუნებს უნარს იმოქმედოს საქმის ცოდნით პროფესიული გარემოს ფარგლებში.
32. ცოდნა, რომელიც საჭიროა პროფესიონალი ბუღალტრის სახით ფუნქციონირებისათვის საზოგადოებრივ პრაქტიკაში, მრეწველობაში, ვაჭრობაში, განათლებასა და საჯარო სექტორში, ფართოვდება და იცვლება მაღალი ტემპით. პროფესიონალი ბუღალტრების წინაშე დგას გაზრდილი ცოდნისა და გამოცდილების მოლოდინი. ისინი და მათთან ერთად, ბაფ-ი დგას შიდა კონტროლის ხარისხის, ხელმძღვანელების, ფინანსური ანგარიშგებისა და დამოუკიდებელი აუდორების უპრეცენდენტო გამომცდელი მზერის წინაშე. ეს ზეწოლა ეხება როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის პროფესიონალ ბურალტრებს. გარდა ამისა, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების აუცილებლობამ ყველა ტიპის ობიექტებში წარმოშვა დამატებითი შტრიხი პროფესიონალი ბუღალტრის როლსა და მოვალეობებში. პროფესიონალ ბუღალტრებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ყველა სექტორის საქმიანობაში. ეს მოლოდინი რომ გაამართლოს პროფესიონალმა

ბურალტერმა, უკიდურესად მნიშვნელოვანი და აუცილებელია პროფესიული კომპეტენტურობის ხანგრძლივი განვითარება და განგრძობითი სწავლა.

33. პროფესიული განვითარების გაგრძელება, თავისთავად, არ უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ ყველა წევრი ყოველთვის შეასრულებს მაღალი ხარისხის პროფესიულ მომსახურებას. პროფესიული განვითარების გაგრძელება უფრო უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებას. იგი განაპირობებს ცოდნის გამოყენებას პროფესიული წინდახედულობითა და მიუკერძოებელი დამოკიდებულებით. ასევე არ არსებობს გარანტია, რომ პროფესიული განვითარების გაგრძელების პროგრამაში მონაწილე ყველა პირი მიიღებს სარგებელს ამ პროგრამიდან, ინდივიდების განსხვავებული ქმედებისა და სწავლის უნარის გამო. თუმცა ცხადია, რომ წევრებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მათი სამუშაო ადგილის მოთხოვნების შესაფერისი უახლესი ტექნიკური და ზოგადი ცოდნა, არ ექნებათ პროფესიული მომსახურების საქმის ცოდნით უზრუნველყოფის უნარი. ამიტომ, პროფესიული განვითარების გაგრძელების პროგრამაში მონაწილე ადამიანებისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობის მიუხედავად, პროფესიული განვითარების გაგრძელების მოთხოვნა მნიშვნელოვანია საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად.

განგრძობითი სწავლების ხელშეწყობა

34. ბაფი ხელს უწყობს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისათვის კომპეტენტურობის უწყვეტი სრულყოფისა და განგრძობითი სწავლების ვალდებულების მნიშვნელობის განვითარებას.

35. ყველა პროფესიონალი ბუღალტერი ვალდებულია აიმაღლოს და შეინარჩუნოს თავისი პროფესიონალური კომპეტენტურობა იმ დონეზე, რომელიც შესაბამისი იქნება მათი სამუშაოს ბუნებისა და პროფესიონალური ვალდებულების. ეს ვალდებულება ეხება ყველა პროფესუინალ ბუღალტერს, მიუხედავდ იმისა ისინი დაკავებული არიან ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ ცფეროში თუ სხვა სფეროში.

36. განგრძობითი სწავლების პროცესი იწყება პროფესიონალ ბუღალტრად საკვალიფიკაციო პროგრამის გაგრძელებით. პროფესიული განვითარების გაგრძელება არის გაფართოება განათლების პროცესისა, რომელმაც განაპირობა პროფესიონალ ბურალტრად კვალიფიცირება. კვალიფიცირების მომენტისათვის მიღწეული პროფესიული ცოდნა, პროფესიული გამოცდილება და პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა აგრძელებს ინდივიდის პროფესიონალური ქცევისა და ვალდებულებების შესაბამისად განვითარებას და სრულყოფას.

37. ბაფი თვითონ უზრუნველყოფს პროფესიონალი ბუღალტრებისათვის პროფესიული განვითარების გაგრძელების შესაფერის პროგრამას და აადვილებს სხვების მიერ შეთავაზებული პროგრამების ხელმისაწვდომობას.

პროფესიული განვითარების გაგრძელების ვალდებულება ყველა პროფესიონალი ბუღალტრისათვის

38. ბაფი მოითხოვს, რომ ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა განივითაროს და შეინარჩუნოს მისი სამუშაო ადგილისა და მოვალეობის შესაფერისი და შესაბამისი კომპეტენტურობა. კომპეტენტურობის განვითარებასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა აკისრია პირველ რიგში თითოეულ პროფესიონალ ბუღალტერს.

39. პროფესიული განვითარების გაგრძელება თანაბრად აუცილებელია ყველა პროფესიონალი ბუღალტრისათვის, მოიხედავად ბიზნესის სახისა და სიდიდისა, სადაც ისინიმუშაობენ, იმიტომ, რომ:
    ა) ყველა პროფესიონალ ბუღალტერს აკისრია თავის კლიენტზე, დამქირავებელსა და შესაბამის კაპიტალის მფლობელზე ზრუნვის ეთიკური ვალდებულება და წარმოეშობა ამ ვალდებულების კომპეტენტური მანერით შესრულების დემონსტრირების აუცილებლობა;
    ბ) პროფესიონალ ბუღალტრებს გააჩნია მნიშვნელოვანი მდგომარეობა (ადგილი) ყველა სფეროში, როგორიცაა ფინანსური ანგარიშგება, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნება;
    გ) ყველა სფერო ექვემდებარება გარემოს სწრაფ ცვალებადობას და შესაბამისად, წარმოიშობა სტრატეგიული ან ბიზნეს გეგმის შეცვლილი გარემოსადმი მისადაგების მოთხოვნა, რაშიც ორგანიზაციის იმედია პროფესიონალი ბუღალტრის პროფესიული კომპეტენტურობა

პროფესიული განვითარების გაგრძელებისადმი მიდგომა

40. პროფესიული განვითარების გაგრძელების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს პროფესიონალ ბუღალტრებს პროფესიული კომპეტენციის განვითარებით უზრუნველყონ საზოგადოების ინტერესების შესაბმისად მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა. პროფესიული განვითარების გაგრძელების მისაღწევად ბაფი გამოიყენებს ორ მიდგომას. კერძოდ:
    ა) დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომას – რომელიც ადგენს წსავლების ღონისძიების განსაზღვრულ მოცულობას, რომელიც განიხილება კომპეტენტურობის სათანადოდ განმავითარებლად და შემნარჩუნებლად;
    ბ) შედეგზე დაფუძნებული მიდგომას – რომელიც პროფესიონალი ბუღალტრებისაგან მოითხოვს შედეგის მიხედვით იმის დემონსტრირებას, რომ ისინი ინვითარებენ და ინარჩუნებენ პროფესიულ კომპეტენტურობას;
41. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელებას დაექვემდებარება პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც ვერ მოახდენს პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებისა და შენარჩუნების დემონსტრირებას შედეგზე დაფუძნებული მიდგომით.
42. **დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელებას დაქვემდებარებულ პროფესიონალი ბუღალტერს მოეთხოვება ყოველწლიურად დაამთავროს ყველაზე მცირე 30 საათიანი სასწავლო სააუდიტორიო ციკლი (სემინარი).**
43. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელების უზრუნველსაყოფად ბაფი მსურველი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის აწყობს ორგანიზებულ სემინარს წელიწადში ერთხელ.
44. პროფესიონალმა ბუღალტერმა შეიძლება დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარება გააგრძელოს სხვა ეკვივალენტურ სასწავლო ციკლში მონაწილეობით. სასწავლო ციკლის ეკვივალენტურობას ადგენს ბაფის განათლების კომიტეტი პროფესიონალი ბუღალტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.
45. **შედეგზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელებას დაქვემდებარებული პროფესიონალი ბუღალტრებისაგან ბაფი მოითხოვს, რომ მოახდინონ სათანადო კომპეტენტურობის განვითარებისა და შენარჩუნების პერიოდული დემონსტრირება შესაბამისი მტკიცებულებით, რომელიც:**
    ა) მიუკერძოებლად არის დამოწმებული კომპეტენტური წყაროს მიერ; და

ბ) გონივრულად გამოყენებადია შეფასების კომპეტენტური მეთოდისათვის.

46. შედეგზე დაფუძნებული სისტემისათვის კომპეტენტურობის განვითარების ან შენარჩუნების ობიექტური შეფასება არის კომპეტენტურობის დადასტურება. დადასტურება უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილმა წყარომ, რომელიც ამტკიცებს, რომ კომპეტენტურობა იყო განვითარებული და შენარჩუნებული საფუძვლიანი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. შეფასებამ ნათლად უნდა დაადგინოს შედეგი ან მიღწეული კომპეტენცია, რომელიც შეიძლება იყოს განვითარების სპეციფიკური სწავლების ან გაფართოებული პროგრამის შედეგი.
47. მტკიცებულება შესაძლოა იყოს მრავალფეროვანი. მტკიცებულების მაგალითებია:
    ა) ნაწერი ან გამოქვეყნებული მასალის შეფასება რეცენზენტის მიერ;
    ბ) პროფესიული სტატიის ან სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის პუბლიკაცია;
    გ) პერიოდული გამეორებითი გამოცდა;
    დ) პროფესიული ან სხვა კვალიფიკაცია; და სხვ.

მონიტორინგი და სანქცია

48. ბაფი ახორციელებს სისტემატიურ შემოწმებას პროფესიონალი ბუღალტრების მიერ პროფესიული განვითარების გაგრძელების მოთხოვნების შესრულებაზე და ადგენს შესაბამის სანქციას მოვალეობის შეუსრულებლობაზე.
49. შემოწმების მიზანია დადგინდეს თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ბაფ-ის წევრები პროფესიული კომპეტენციის განვითარებასა და შენარჩუნებას.
50. შემოწმება ემყარება ბაფის განათლების კომიტეტის ხელთარსებულ ინფორმაციას პროფესიონალი ბუღალტრის მიერ დასწრებაზე დაფუძნებული მიდგობით განგრძობითი სწავლებაში მონაწილეობის შესახებ ან პროფესიონალი ბუღალტრის მიერ წარდგენილ ანგარიშს შედეგზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელების შესახებ.
51. კონტროლის უზრუნველსაყოფად ბაფი პროფესიონალი ბუღალტრებისაგან მოითხოვს ანგარიშს პროფესიული განვითარების გაგრძელებასთან დამოკიდებულების შესახებ. ასეთი ანგარიშის წარდგენა არ ევალება პროფესიონალ ბურალტერს, რომელიც დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში მონაწილეობას იღებს ბაფის მიერ ორგენიზებულს სასწავლო სემინარში.
52. პროფესიული განვითარების გაგრძელებასთან დამოკიდებულების შესახებ ანგარიში ბაფს წარედგინება წელიწადში ერთხელ ყოველი კალენდარული წლის ბოლომდე.
53. სავალდებულო პროფესიული განვითარების გაგრძელება მხოლოდ მაშინ მუშაობს ეფექტურად, როდესაც მოხდება სავალდებულო პროფესიული განვითარების აუცილებლობაში პროფესიონალი ბუღალტრის დარწმუნება, ან თუ პროფესიონალი ბუღალტერი არ ემორჩილება სავალდებულო მოთხოვნას, მის მიმართ გამოყენებული იქნება სანქცია.
54. სანქციის ზომად შესაძლოა გამოყენებული იქნეს სავალდებულო პროფესიული განვითარების გაგრძელებისადმი დაუმორჩილებელი პროფესიონალი ბუღალტრის დასახელება საერთო კრებაზე, შეტყობინება დამქირავებლისათვის, ინფორმაციის გამოქვეყნება და უკიდურეს შემთხვევაში ბაფიდან გარიცხვა.
55. სავალდებულო პროფესიული განვითარების გაგრძელებისადმი დაუმორჩილებელი პროფესიონალი ბუღალტრის მიმართ პირველი ნაბიჯი ითვალისწინებს მიმართვას გონივრულად დასაშვებ ვადაში სავალდებულო

მოთხოვნისათვის დამორჩილების მოთხოვნით. აუცულებელია სიფრთხილის გამოჩენა ძალიან მკაცრი სანქციის მიღების დროს.

56. ბაფის წევრობიდან გარიცხვა შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ პროფესიონალი ბურალტრის მიმართ, რომელიც, ბაფის მიმართვის შემდეგ ისევ გააგრძელებს პროფესიული განვითარების ვალდებულების შესრულების იგნორირებას.

კომპეტენციის მოთხოვნები აუდიტის პროფესიონალებისთვის

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს წევრებს დააკმაყოფილონ განათლების ამ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები, ვიდრე ისინი დაიწყებენ პროფესიონალი აუდიტორის როლის შესრულებას.

ნაწილი I: ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

1. აუდიტი არის სტრუქტურული პროცესი, რომელიც:
   - ითხოვს ანალიტიკური უნარ-ჩვევების, პროფესიული განსჯისა და სკეპტიციზმის გამოყენებას;
   - როგორც წესი, სრულდება მენეჯერული უნარ–ჩვევების მქონე პროფესიონალთა ჯგუფის მიერ;
   - იყენებს ტექნოლოგიის შესაბამის ფორმებსა და მეთოდოლოგიას;
   - შეესაბამება იმ ყველა ტექნიკურ სტანდარტს, როგორიცაა: აუდიტის, ხარისხის კონტროლის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და ყველა შესაბამისი საერთაშორისო, ეროვნული თუ ადგილობრივი ექვივალენტი;
   - ექვემდებარება პროფესიული ეთიკის დაწესებულ სტანდარტებს.

2. აუდიტი ასევე არის ორგანიზაციების ფარგლებში და მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი ანგარიშვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის სისტემის განუყოფელი ნაწილი. მიუხედავად ამისა, გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაცია შეიძლება კანონმდებლობით მოითხოვებოდეს, როგორც სესხის გაცემის პირობა, ხელშეკრულების ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ორგანიზაციებმა შეიძლება ნებაყოფლობით ჩაიტარონ აუდიტი, ფინანსური ინფორმაციის უტყუარობისა და მტკიცების შესაფასებლად ან ორგანიზაციის რესურსების ფინანსური მართვის უნარიანობის შესახებ სანდო ანგარიშგების წარსადგენად აქციონერებისათვის.

3. სამეურნეო სუბიექტებს, რომლებიც აუდიტს ექვემდებარებიან, აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა და საქმიანობას ეწევიან

სახელმწიფო, კერძო და არამომგებიან (არაკომერციულ) სექტორებში და ამიტომ უწევს ადაპტაცია რთულ და ცვლად გარემოსთან. აუდიტის ჩასატარებლად გათვალისწინებული და შეფასებული უნდა იქნეს მრავალი აუცილებელი ფაქტორი, შემდეგის ჩათვლით:

- საწარმო და მისი გარემო;
- დარგობრივი, მარეგულირებელი და სხვა გარე ფაქტორები;
- შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ჩარჩოები;

4. ბიზნესის გლობალიზაციამ საგრძნობლად გაზარდა ერთგვაროვან და მაღალი ხარისხის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოთხოვნა ცალკეულ ქვეყნების ფარგლებში და მსოფლიო მასშტაბით, რაც უშუალოდ მოქმედებს ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტზე. საზოგადოების დიდი ნაწილი თანამედროვე გლობალურ ბიზნეს გარემოში საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობას მოელის.

სტანდარტების მიზანი

5. განათლების ეს სტანდარტი ადგენს აუდიტორთა კომპეტენციის მოთხოვნებს, მათ შორის სპეციფიკურ გარემოსა და დარგებში მომუშავე აუდიტორებისთვის.

6. განათლების სპეციფიკური საერთაშორისო სტანდარტები აუცილებელია აუდიტორებისთვის არა მხოლოდ კომპეტენტური ცოდნისა და უნარ-ჩვევების, არამედ საზოგადოებისა და გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობილი ორგანიზაციების ნდობის მოსაპოვებლად. განათლების ეს სტანდარტი ეყრდნობა პროფესიონალი ბუღალტრისათვის 1-7 განათლების სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

7. განათლების სტანდარტები მიზნად ისახავს დაარწმუნოს პროფესიონალი ბუღალტრები იმ სპეციფიკური უნარ-ჩვევების შეძენაში, რომელიც აუცილებელია კომპეტენტურ აუდიტორად მუშაობისთვის.

განმარტება

8. ამ სტანდარტში გამოყენებული ტერმინები მოცემულია ქვემოთ.

   უნარი- არის პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, პროფესიული ფასეულობის, ეთიკისა და ქცევის ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია კომპეტენტურობის დემონსტრირებისათვის.

   განმარტება: უნარი პიროვნებისთვის დამახასიათებელი თვისებების ერთობლიობაა, რომელიც მას ფუნქციების შესრულების საშუალებას აძლევს, ხოლო კომპეტენცია ნიშნავს შესრულებული სამუშაოს შედეგის ფაქტობრივ დემონსტრირებას. უნარის ქონა ნიშნავს, რომ პიროვნებას შეუძლია სამუშაოს

კომპეტენტურად შესრულება. უნარი მოიცავს საქმის არსის, ტექნიკური და ფუნქციონალური უნარ-ჩვევების, ქცევის წესების, ინტელექტუალური შესაძლებლობებისა (პროფესიული განსჯის ჩათვლით) და პროფესიული და ეთიკური ფასეულობების ქონას. ზოგჯერ, სხვა ლიტერატურაში, ტერმინი განმარტებულია როგორც კომპეტენცია, შესაძლებლობა, საქმის არსის, პრინციპების გაგების უნარი, ურთიერთობის, ხასიათთა განსხვავების უნარი და პიროვნული თვისებები.

კომპეტენცია - განსაზღვრულ სტანდარტებზე დაყრდნობით საქმის შესრულების უნარი სამუშაო გარემოს გათვალისწინებით.

განმარტება: კომპეტენცია ნიშნავს დადგენილი სტანდარტის შესაბამისად კონკრეტული საქმის შესრულების შედეგების დემონსტრირების შესაძლებლობას. მაშინ, როცა უნარი ნიშნავს პიროვნულ თვისებას, რომელიც საქმის შესრულების პოტენციალს იძლევა. კომპეტენცია ასევე შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა საშუალებით, სამუშაო ადგილის სიმულაციის, სხვადასხვა ტიპის წერითი თუ ზეპირი ტესტების შესრულების ჩათვლით.

გარიგების პარტნიორი - არის პარტნიორი ან აუდიტორულ ორგანიზაციაში მომუშავე პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია გარიგების წარმოებასა და მის შესრულებაზე, ორგანიზაციის სახელით აუდიტის ანგარიშის წარმოებასა და და ვინც, საჭიროებისამებრ უფლებამოსილია პროფესიული, ლეგალური ან მარეგულირებელი ორგანიზაციის მიერ;

განმარტება: ტერმინი დადგენილია საერთაშორისო აუდიტისა და მარწმუნებელი სტანდარტების საბჭოს მიერ.

პროფესიონალი ბუღალტერი – არის პიროვნება რომელიც არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ორგანიზაციების წევრი.

9. შემდეგი განმარტება გამოიყენება სპეციალურად განათლების ამ სტანდარტისთვის.

აუდიტის პროფესიონალი – არის პროფესიონალი ბუღალტერი, რომელსაც გააჩნია პასუხისმგებლობა ან მინიჭებული აქვს დელეგირებული პასუხისმგებლობა, გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში არსებითი განსჯისათვის.

განმარტება: გარიგების პარტნიორი იცავს აუდიტისთვის ჩატარებისთვის საჭირო ყველანაირ წესს.

აუდიტის პროფესიონალის განმარტება არ გულისხმობს ექსპერტს, რომელიც ასრულებს სპეციფიკურ დავალებებს აუდიტთან მიმართებაში (მაგ: საგადასახადო საქმის, საინფორმაციო ტექნოლოგიის ან შეფასების ექსპერტი).

ძალაში შესვლის თარიღი

10. განათლების ეს სტანდარტი ძალაშია 2009 წლის 1 ივლისიდან.

სტანდარტის კომპეტენცია

11. განათლების ეს სტანდარტი ითვალისწინებს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის განათლებასა და განვითარებაში მიღებულ „კარგი პრაქტიკის“ სტანდარტებს. ისინი ამკვიდრებენ პროფესიონალი ბუღალტრებისთვის განათლებისა და განვითარების არსისა და პროცესის აუცილებელი ელემენტების ისეთ დონეებს (საგნის არსი, უნარი, ეთიკა და პრაქტიკაში გამოყენება) რომლებიც გამიზნულია აღიარების, დამკვიდრებისა და გამოყენებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე.

12. განათლების ამ სტანდარტს აქვს კომპეტენციის მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც ბაფი როგორც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ორგანიზაცია უყენებს თავის წევრებს აუდიტის პროფესიონალად მუშაობისთვის.

13. განათლების ამ სტანდარტში აღწერილია პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, პროფესიული ფასეულობის, ეთიკისა და ქცევის მინიმალური მოთხოვნები, რაც აუცილებელია აუდიტის პროფესიონალისათვის. სტანდარტი არ მოიცავს აუდიტორთა ჯგუფის ყველა წევრისათვის აუცილებელი უნარისა და კომპეტენციის ფართო დიაპაზონს. აუდიტის პროფესიონალს შეუძლია იმუშაოს როგორც აუდიტორული ჯგუფის წევრმა, ან ინდივიდუალური პასუხისმგებლობით მცირე აუდიტორულ გარიგებებში.

14. ხშირად აუდიტორად დანიშვნის პერიოდში საჭიროა ექსპერტებთან კონსულტაციები აუდიტორული ფირმის ფარგლებში ან მის გარეთ. ასეთი ექსპერტების მიმართ წაყენებული კომპეტენტურობისა და უნარების მოთხოვნები დეტალურადაა მოცემული აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს სტანდარტებსა და სახელმძღვანელოებში. ამიტო იგი არ განიხილება მოცემულ სტანდარტში.

15. განათლების ამ სტანდარტის მეორე ნაწილი ეხება ყველა აუდიტის პროფესიონალს. მესამე ნაწილში განხილულია გარიგების. პარტნიორების კომპეტენტურობის მოთხოვნები. მეოთხე ნაწილი კი განკუთვნილია აუდიტის პროფესიონალებისათვის, რომლებიც მუშაობენ სპეციფიკურ გარემოსა და მრეწველობის დარგში, ტრანსნაციონალური აუდიტის ჩათვლით.

პროფესიონალი ბუღალტრები და აუდიტის პროფესიონალები

16. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პროფესიონალი ბუღალტერი მოღვაწეობს ბუღლტრული აღრიცხვის და ბიზნესის სფეროების ფართო სპექტრში, სხვები ორიენტირებულნი არიან ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ სფეროზე. არც ერთ პროფესიონალ ბუღალტერს არ შეუძლია ბუღალტერიის ყველა სფეროსათვის თავის გართმევა. სპეციალიზირება აუცილებელია, იმის

გარანტიის უზრუნველსაყოფად, რომ მომსახურება გაწეულია საკმაო ღრმა ცოდნისა და გამოცდილების პროფესიონალი ბუღალტერის მიერ.

17. სპეციალიზირების ერთი სფერო არის გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტი. ამ სფეროში კომპეტენტურობისთვის პროფესიონალ ბუღალტერებს მოეთხოვებათ აუდიტსა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში მაღალი დონის ცოდნა და გამოცდილება.

18. სპეციფიკური საწარმოების გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში ჩართული აუდიტის პროფესიონალები უფრო სპეციალიზირებულები არიან. მრეწველობის ტიპმა, შესაბამისმა კანონმა და ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპმა შეიძლება მოითხოვოს ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონე, რომელიც არ მოეთხოვებათ სხვა აუდიტის პროფესიონალებს.

19. აუდიტის გარიგება განსხვავდება სირთულისა და ზომის მიხედვით და მოითხოვს სხვადასხვა სახის გამოცდილებასა და კომპეტენტურობას. აუდიტორული ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს გარიგების პარტნიორის, აუდიტის პროფესიონალების, პროფესიონალი ბუღალტრებისა და სხვა დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მიზნად არ ისახავენ პროფესიონალ ბუღალტრებად კვალიფიცირებას. გარიგების პარტნიორი პასუხისმგებელია, რომ ყველა ინდივიდუალის სამუშაო იყოს განხილული გარიგების ჯგუფის სხვა წევრების მიერ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გონივრული გარანტია იმისა, რომ სამუშაო აკმაყოფილებს შესაბამისი ხარისხის სტანდარტს.

უნარებისა და კომპეტენციის განვითარება და შენარჩუნება

20. ბაფის ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი მოითხოვს, რომ ყველა პროფესიონალ ბუღალტერს გავლილი ქონდეს შესაბამისი ტრენინგები და ფლობდეს კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ცოდნას.

21. აუდიტის პროფესიონალებისთვის საჭირო ცოდნისა და კომპეტენტურების შესაძენად, ადამიანს შეიძლება დასჭირდეს, პროფესიონალი ბუღალტრის მომზადებისათვის აუცილებელის გარდა, დამატებითი განათლება და განვითარება. მათ დამატებითი განათლებისა და განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლიათ პროფესიონალი ბუღალტრის მოსამზადებელი სასწავლო და განვითარების პროგრამის გავლის პეროდში ან მის შემდეგ.

22. აუდიტის პროფესიონალების უნარების განვითარებასა და შენარჩუნებისთვის საჭირო განათლებამ და განვითარებამ შეიძლება მოიცვას:
    ა. აკადემიურ დაწესებულებებსა და პროფესიულ ორგანიზაციებში მიღებული მოწინავე პროფესიული განათლება;
    ბ. შიდა ტრენინგები;
    გ. გარე ტრენინგები;
    დ. განგძნობითი პროფესიული განვითარების კურსები და საქმიანობები;

23. საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის გარდა, პროფესიონალ ბუღალტრებს სჭირდებათ ცოდნისა და კომპეტენტურობის დემონსტრირება

გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად.

24. აუდიტის პროფესიონალებს სჭირდებათ მეტი გავითარება პროგრესისთვის და გარიგების პარტნიორის მოვალეობის შესასრულებლად.

25. ყველა პროფესიონალი ბუღალტერი ვალდებულია მუდმივად ჩართული იყოს სწავლის პროცესში და თვალი ადევნონ ინფორმაციის განახლების პროცესს, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებას პროფესიული საქმიანობის მაღალ დონეზე შესასრულებლად, როგორც განმარტებულია განათლების სტანდარტში №7 „პროფესიული განვითარების გაგრძელება: განგრძობითი სწავლების პროგრამა და პროფესიული კომპეტენციის განვითარების გაგრძელება“

ნაწილი 2. კომპეტენციის მოთხოვნები აუდიტის პროფესიონალებისთვის

ზოგადი მოთხოვნები

26. ბაფის მოთხოვნების თანახმად პიროვნებები უნდა:

1. გახდნენ პროფესიონალი ბუღალტრები;
2. ფლობდნენ არასრულ უმაღლეს განათლებას ან იმს ეკვივალენტს; და
3. აკმაყოფილებდნენ ამ ნაწილში აღწერილ აუდიტის პროფესიონალის მიმართ წამოყენებულ ყველა მოთხოვნას;

27. აუდიტის პროფესიონალებისთვის საჭირო განათლების შესაბამისი დონის, ინტელექტუალური და პიროვნული უნარ-ჩვევების შეძენა ძირითადად მიიღწევა დამამთავრებელ კურსისა და წინასაკვალიფიკაციო განათლების პროგრამის კომბინაციით.

28. 26 – ე პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შეიძლება შესრულდეს ამავე პუნქტის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტების მოთხოვნების შესრულებისას ან მის შემდეგ.

ცოდნის დონე

29. აუდიტის პროფესიონალებისთვის გამიზნული განათლებისა და განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის დონე მოიცავს შემდეგ საკითხთა სფეროს:

- გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტის უმაღლესი დონე (განმარტებული 32-ე პუნქტში);
- ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების უმაღლესი დონე (განმარტებული 34-ე პუნქტში)
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (განმარტებულია 38-ე პუნქტში).

30. გს 2 „პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამის შინაარსი“ ადგენს ცოდნის გარკვეული დონის მოთხოვნებს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის. „უმაღლესი დონე“ ნიშნავს ცოდნის უფრო ღრმა და ვრცელ დონეს, რომელიც გს 2-ით დადგენილია პირებისათვის, რომლებიც ემზადებიან პროფესიონალი ბუღალტრების კვალიფიკაციის მისაღებად.

31. აუდიტის პროფესიონალებს მოეთხოვებათ გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში მიმდინარე ვითარების კარგად ცოდნა ბიზნეს გარემოს მოთხოვნების თანხვედრისათვის. სწორედ ამიტომ, აუდიტის პროფესიონალებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო და განგრძობითი განვითარების პროგრამა მოიცავს შესაბამის თანამედროვე პრობლემებსა და მოვლენებს.

32. გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტის ცოდნა უნდა მოიცავდეს შემდეგ სფეროებს უმაღლეს დონეზე:

   ა) გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტის კარგი პრაქტიკა, მიმდინარე პრობლემებისა და მოვლენების ჩათვლით;
   ბ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულებები; ან/და
   გ) სხვა შესაბამისი სტანდარტები და კანონები;

33. 32-ე პუნქტში ჩამოთვლილი ცოდნის გარდა, აუდიტის პროფესიონალს მოეთხოვება ხარისხის კონტროლის, მიმოხილვის გარიგების საერთაშორისო სტანდარტების, მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტების და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების ან ადგლობრივი ეკვივალენტების ცოდნა;

34. ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ცოდნა უნდა მოიცავდეს შემდეგ სფეროებს უმაღლეს დონეზე:
   ა) ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას, შესაბამისი მიმდინარე პრობლემებისა და მოვლენების ჩათვლით;
   ბ) ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტს;
   გ) ნებისმიერ სხვა შესაბამის სტანდარტს ან კანონს.

35. თუ აუდიტის კლიენტს მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება სახელმწიფო სექტორის სტანდარტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ანგარიშგება, 34-ე პუნქტში ჩამოთვლილი პუნქტების ეკვივალენტი, უნდა მოიცავდეს სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტს, სახელმწიფო სექტორის საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებს და მათ საერთაშორისო, ეროვნულ ან ადგილობრივ ეკვივალენტს.

36. საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში საჭირო ცოდნა უნდა მოიცავდეს შემდეგ სფეროებს:

ა) ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგებისთვის საჭირო ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემები, შესაბამისი მიმდინარე პრობლემებისა და მოვლენების ჩათვლით;
ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის ფარგლებში კონტროლის შეფასებას და რისკის განსაზღვრას გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტისათვის.

პროფესიული უნარები

37. განათლებისა და განვითარების პროგრამის ფარგლებში აუდიტის პროფესიონალის უნარებისადმი მოთხოვნა მოიცავს:
    ა) აუდიტორულ გარემოში ისეთი აუცილებელი პროფესიული უნარების შესაბამისობას, როგორებიცაა:
    - პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა;
    - შესაბამისი ტექნიკური კვლევის ჩატარება;
    - ჯგუფში ეფექტურად მუშაობა;
    - მტკიცებულების შეკრება და შეფასება;
    - აზრის გამოხატვა, განხილვა და მისი ეფექტურად დაცვა ფორმალურ, არაფორმალურ, წერით და სასაუბრო ურთიერთობის ფარგლებში;

    ბ) აუდიტორულ გარემოში შემდეგი პროფესიული უნარების უმაღლეს დონეზე განვითარება:
    - აუდიტის შესაბამისი სტანდარტებისა და სახელმძღვანელოს გამოყენება;
    - შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენების შეფასება;
    - გამოკითხვის, აბსტრაქტული ლოგიკური აზროვნებისა და კრიტიკული ანალიზის შესაძლებლობის დემონსტრირება;
    - პროფესიული სკეპტიციზმის დემონსტრირება;
    - პროფესიული განსჯის გამოყენება;
    - კონფლიქტებთან დაპირისპირება და მათი გადაჭრა;

38. განათლების მე-3 სტანდარტი, „პროფესიული უნარი“, ადგენს პროფესიული უნარების მოთხოვნებს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის. განათლების მე-8 სტანდარტში ხსენებული „უმაღლესი დონე“ ნიშნავს უნარების იმაზე უფრო მაღალ დონეს, რომელიც გს 3-ით დადგენილია პირებისათვის, რომლებიც ემზადებიან პროფესიონალი ბუღალტრების კვალიფიკაციის მისაღებად.

39. ბსფ-ს წევრ ორგანიზაციებს შეუძლია უნარების განვითარების შესაბამისი დონის განსაზღვრა და მათი განვითარების საშუალებები.

პროფესიული ფასეულობა, ეთიკა და ქცევა.

40. პირმა, რომელიც ისწრაფვის გახდეს აუდიტის პროფესიონალი, უნდა შეძლოს აუდიტის გარემოში პროფესიული ფასეულობის, ეთიკისა და ქცევის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

41. განათლების მე-4 სტანდარტი „პროფესიული ფასეულობა, ეთიკა და ქცევა“ ადგენს პროფესიული ღირებულების, ეთიკისა და ქცევის წესებს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის.

ბსფ-ს წევრმა ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება წვრთნა პროფესიულ განსჯასა და ეთიკურად ქცევაში საზოგადოებისა და პროფესიის სასარგებლოდ.

42. ყველა პროფესიონალ ბუღალტერს სჭირდება პროფესიული და მმართველობითი გადაწყვეტილებების პოტენციური ეთიკური მნიშვნელობის სრულყოფილად გაგების უნარი. მათ სჭირდებათ იმ აზრთან შეგუება, რომ ყველა პირი, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს ექცევა ძლიერი გავლენის ქვეშ, როცა საქმე ეხება ეთიკური პრინციპების დაცვას.

43. აუდიტის პროფესიონალებმა, ყველა პროფესიონალი ბუღალტრის მსგავსად, უნდა გამოიყენონ განათლების მე-4 სტანდარტში აღწერილი პროფესიული ფასეულობის, ეთიკისა და ქცევის წესები მთელი პროფესიული კარიერის მანძილზე. პრაქტიკული გამოცდილების განმავლობაში მათ უნდა მიიღონ მითითებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - ეთიკის მიმართ პროფესიული მიდგომა;
    - ძირითადი პრინციპების პრაქტიკული გამოყენება;
    - არაეთიკური ქცევების შედეგი;
    - ეთიკური დილემების გადაჭრა.

44. პროფესიული ეთიკის შემეცნება უნდა გაგრძელდეს კვალიფიცირების შემდეგ. აუდიტის პროფესიონალებმა მხედველობაში უნდა მიიღონ რომ ეს პროცესი გაგრძელდება მათი კარიერის განმავლობაში.

45. ძირითად ეთიკურ პრინციპებს, რომელიც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, აქვთ დამატებითი სივრცე აუდიტის დარგში, პროფესიის ამ სფეროს მიმართ საზოგადოების დიდი ინტერესის გამო.

46. ეს ძირითადი პრინციპები აუცილებელია პროფესიისა და საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანობის, განვითარებისთვის. ბაფის „ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის“ ადგენს შემდეგ ძირითად პრინციპებს:
    - პატიოსნება;
    - ობიექტურობა;
    - პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება;
    - კონფიდენციალობა;
    - პროფესიული ქცევა.

47. ამის გარდა, ბაფის „ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის“ მოითხოვს, რომ მარწმუნებელი ჯგუფებისა და ორგანიზაციების ყველა წევრი იყოს დამოუკიდებელი მარწმუნებელი კლიენტებისთვის. მარწმუნებელი ჯგუფებისა და ორგანიზაციების ყველა წევრს მოეთხოვება იმოქმედოს დამოუკიდებლად.

48. აუდიტის პროფესიონალებისთვის აუცილებელია, რომ :

- გაეცნონ ახალ პოტენციურ ეთიკურ სივრცესა და კონფლიქტებს საქმიანობაში;
- იყვნენ მუდმივ მზადყოფნაში თავის პროფესიული საბუღალტრო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მოლოდინის დასაკმაყოფილებლად პროფესიული ეთიკის ფარგლებში.

პრაქტიკული გამოცდილება

49. აუდიტორული საქმიანობის დაწყებამდე პროფესონალმა ბუღალტრებმა უნდა გაიარონ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების პერიოდი. ეს პერიოდი უნდა იყოს საკმაოდ გრძელი და ინტენსიური რაც მისცემს მათ შეძენილი ცოდნის, უნარის, პროფესიული ფასეულობის, ეთიკისა და ქცევის დემონსტრირების შესაძლებლობას. პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელოვანი ნაწილი შეძენილი უნდა იქნეს გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში.

50. განათლების მე-5 სტანდარტი „პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნები“ ადგენს პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნებს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის. პროფესიონალი ბუღალტრები, რომლებიც აუდიტის პროფესიონალის მოვალეობას ასრულებენ ვალდებულნი არიან გამოიყენონ ცოდნა, რომელიც მოითხოვება განათლების მე-8 სტანდარტსა და აუდიტის გარემოში, განათლების მე-4 სტანდარტში დადგენილი პროფესიული ფასეულობის, ეთიკისა და ქცევების გათვალისწინებით.

51. პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს აუდიტის პროფესიონალის კომპეტენციას, ზომითა და ტიპით უნდა შეესაბამებოდეს აუდიტის პროფესიონალების აუდიტორულ დანიშნულებას ან აუცილებლად მოიცავდეს მას. გამოცდილების პერიოდმა საშუალება უნდა მისცეს მათ, რომ:
    - გამოიყენონ ცოდნა და უნარები სათანადოდ მართულ გარემოში;
    - განავითაროს და წარმოადგინოს განათლების სტანდარტებით მოთხოვნილი კომპეტენცია.

52. აუდიტის პროფესიონალისთვის შესაფერისი პრაქტიკული გამოცდილების მიღება შესაძლებელია როგორც პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიცირების პერიოდში, ასევე მის შემდეგ. განათლების მე-5 სტანდარტში „პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნები“ წარმოდგენილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ შეიძლება წვლილი შეიტანოს განათლების ამ საერთაშორისო სტანდარტში აღწერილ მოთხოვნებში.

53. პრაქტიკული გამოცდა აუდიტის პროფესიონალებისთვის არანაკლებ სამი წელი უნდა გრძელდებოდეს, რომლიდანაც სულ მცირე ორი წელი უნდა ეთმობოდეს გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტს გარიგების პარტნიორის ხელმძღვანელობით.

54. აუდიტის სფეროში მოთხოვნილი გამოცდილება მიღებულ უნდა იქნას ორგანიზაციაში, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს პიროვნება შესაბამისი აუდიტორული გამოცდილებით გარიგების პარტნიორის ხელმძღვანელობით.

55. ორგანიზაციები, რომლებიც შესაბამის აუდიტორულ გამოცდილებას იძლევიან არიან როგორც კერძო ასევე საზოგადოებრივი სექტორის აუდიტორული ფირმები. ბაფი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ აუდიტორული ფირმებს, რომლებიც გამოცდილებას იძლევიან, შეხება აქვთ პოლიტიკასა და პროცედურებთან, რაც ხელს უწყობს შესაბამისი გარემოს შექმნას. შესაბამისი გარემო პიროვნებას პროფესიული ცოდნის, უნარების, ფასეულობისა და ქცევის განვითარებისა და დემონსტრირების საშუალებას აძლევს და ნებას რთავს მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში.

პროფესიული განვითარების გაგრძელება (პგგ)

56. გს 7, „პროფესიული განვითარების გაგრძელება: განგრძობითი სწავლების პროგრამა და პროფესიული კომპეტენციის განვითარების გაგრძელება“, ადგენს პროფესიული განვითარების გაგრძელების მოთხოვნებს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტის პროფესიონალისთვის.

57. პროფესიონალი ბუღალტერს, რომელიც ისწრაფვის გახდეს აუდიტის პროფესიონალი, შეუძლია დაეყრდნოს პროფესიული განვითარების გაგრძელების პროგრამას გს-ში აღწერილ კომპეტენტურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროფესიული განვითარების გაგრძელება აუცილებელია იმაში დასარწმუნებლად, რომ აუდიტის პროფესიონალები ინვითარებენ და ინარჩუნებენ კომპეტენტურობას. ბაფმა მხედველობაში უნდა მიიღონ გს 7-ში აღწერილი პროფესიული განვითარების გაგრძელებისთვის საჭიროა სპეციფიკური საქმიანობა პროფესიონალი ბუღალტრების ან პიროვნებისთვის, რომელიც ისწრაფვის გახდეს აუდიტის პროფესიონალი.

შეფასება

58. პროფესიული შესაძლებლობები და კომპეტენტურობა უნდა შეფასდეს, სანამ პიროვნება შეუდგება აუდიტის პროფესიონალის საქმიანობას.

59. შეფასება უნდა იყოს საკმაოდ ამომწურავი რის შემდეგაც პიროვნება მიიღებს პროფესიული ცოდნის, უნარების, ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის დემონსტრირების ნებართვას, რაც აუცილებელია აუდიტის პროფესიონალის მოვალეობის კომპეტენტურად შესრულებისთვის.

60. აუდიტის პროფესიონალების შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის შეფასება შეიძლება განხორციელდეს :
    - ბაფის მიერ, რომლის წევრიც არის თვითონ პიროვნება (გაწევრიანების პროცესის ჩათვლით);
    - ბსფ-ს სხვა წევრი ორგანიზაციის მიერ;
    - მესამე მხარეების მიერ (მაგ: საგანმანათლებლო დაწესებულება, მთავრობა ან მარეგულირებელი ორგანიზაცია, კონსულტანტი - სამუშაო ადგილიდან - წევრი ორგანიზაციის მეთვალყურეობით);
    - აუდიტორული ფირმის მიერ (ორგანიზაციის ხარისხის კონტროლის სისტემის ჩათვლით)
    - ჩამოთვლილთა კომბინაციის მიერ.

ბაფი ურჩევს ბსფ-ს სტანდარტების შემოღებას საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს – ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტის პროფესიონალების კვალიფიკაციაზე.

ნაწილი 3. გარიგების პარტნიორი

ზოგადი

61. არსებობს სპეციფიკური პროფესიული, ლეგალური ან მარეგულირებელი მოთხოვნები, რომლებიც წარმართავს აუდიტის გარიგების კომპეტენციას, საქმიანობასა და ხელმძღვანელობას. ზოგჯერ, სპეციფიკურ მოთხოვნებს აწესრიგებს გარიგების პარტნიორი აუდიტის გარიგებაში. ეს მოთხოვნები მიჩნეულია, როგორც ლიცენზიის რეჟიმი. ეს ტერმინი აღნიშნავს რიგ შემთხვევებს, როცა გარიგების პარტნიორად მუშაობის ნებართვა ან უფლებამოსილება გაცემულია კონკრეტულ პიროვნებაზე, რომელიც აკმაყოფილებს სპეციფიკურ მოთხოვნებს. ეს სპეციფიკური მოთხოვნები შეიძლება დაადგინოს პროფესიულმა, ლეგალურმა ან მარეგულირებელმა ორგანიზაციამ.

62. აუდიტის ლიცენზიის რეჟიმი სხვადასხვაა. ბსფ-ს წევრ ორგანიზაციებს აქვთ იურიდიული უფლება გასცენ აუდიტის ლიცენზია, მათ მიერ ლიცენზირებული პროფესიონალი ბუღალტრები აკმაყოფილებენ განათლების ამ საერთაშორისო სტანდარტის მეორე ნაწილში აღწერილ მოთხოვნებს და აქვთ გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტის ანგარიშზე ხელის მოწერის უფლება. თუ აუდიტორი სხვა ორგანიზაციის მიერაა ლიცენზირებული, ბსფ-ს წევრი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან შეატყობინონ მათ საკანონმდებლო, მარეგულირებელ ან სალიცენზიო მმართველ ორგანოებს განათლების ამ საერთაშორისო სტანდარტზე.

63. ზოგიერთ ორგანიზაციაში პროფესიონალ ბუღალტრებს აძლევენ აუდიტის ანგარიშზე ხელის მოწერის უფლებას კვალიფიკაციის მიღების პერიოდში, მაშინ როცა მათ ჯერ არ აქვთ მიღებული ამ გსს-ში აღწერილი სათანადო პრაქტიკული გამოცდილება. ასეთ შემთხვევაში, ბსფ-ს წევრ ორგანიზაციებს მოუწევთ იმის მტკიცება, რომ პიროვნებებს, რომლებსაც გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში განსჯის უფლება აქვს მინიჭებული, გააჩნიათ მოთხოვნილი პრაქტიკული გამოცდილება და კომპეტენტურობა.

64. შესაძლებელია, რომ აუდიტის პროფესიონალებმა, რომლებსაც კანონით დადგენილ აუდიტის ანგარიშზე ხელის მოწერის ნებართვა აქვთ მიღებული, მიიღონ გსს-ში აღწერილი პრაქტიკული გამოცდილება. ყველა აუდიტის პროფესიონალს აქვს პროფესიული და ეთიკური ვალდებულება განავითაროს და შეინარჩუნოს კომპეტენცია პროფესიული პასუხისმგებლობის შესაბამისად.

65. ბსფ აღიარებს გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტის სხვადასხვა სახეობას, მოცულობასა და სირთულის დონეს, ასევე გარიგებისთვის აუცილებელი პროფესიული კომპეტენციის სხვადასხვა დონეს. ყველა პროფესიონალი ბუღალტერი ვალდებულია დაიცვას ბსფ-ს ეთიკის

კოდი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის და უნდა მიიჩნიოს ისინი შესრულებისთვის არაკომპეტენტურად.

კომპეტენციის მოთხოვნები გარიგების პარტნიორისთვის

66. გარიგების პარტნიორის უდიდესი პასუხისმგებლობის ასაღებად მოითხოვება დამატებითი პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარები, პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევები. გარიგების პარტნიორმა უნდა შეძლოს აუდიტის პროცესის ამომწურავად გაგება და მისი დემონსტრირება, უნდა გააჩნდეს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ მხარეებთან ურთიერთობის უნარი.

67. როცა აუდიტის პროფესიონალი იღებს გარიგების პარტნიორის პასუხისმგელობას, სჭირდება კომპეტენტურობის დემონსტრირება შემდეგ სფეროებში:
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აუდიტის ხარისხისთვის;
- დასკვნების ფორმირება შესაბამის დამოუკიდებელ მოთხოვნებთან თანხმობით;
- კლიენტთან ურთიერთობის გაგრძელება და სპეციფიკური აუდიტის გარიგებები;
- გარიგების ჯგუფის დანიშვნა, კოლექტიურ შესაძლებლობებისა და გარიგების შესრულების კომპეტენტურობა და აუდიტორული ანგარიშის შედგენა;
- აუდიტის გარიგების მიმართულება, მეთვალყურეობა და შესრულება პროფესიულ სტანდარტებს, მარეგულირებელსა და ლეგალურ მოთხოვნებთან თანხმობით;
- შესრულებული სამუშაოს განხილვა და მასთან დაკავშირებული კონსულტაციები;
- აუდიტის ანგარიშის განვითარება, რომელიც აუდიტის დოკუმენტის შესაბამისია.

ნაწილი 4: კომპეტენციის მოთხოვნები აუდიტის პროფესიონალებისთვის სპეციფიკურ გარემოსა და საწარმოებში

ზოგადი

68. ბაფი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ აუდიტის პროფესიონალებს, რომლებიც იღებენ პასუხისმგებლობას მნიშვნელოვან განსჯაზე სპეციფიკურ გარემოსა და საწარმოს გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში, გააჩნიათ ამ გარემოსა თუ საწარმოსთვის შესაბამისი პროფესიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. (რწმუნება მოპოვებული უნდა იყოს ხარისხის კონტროლის შემოწმების გზით - კოტე)

69. როცა პროფესიონალი ბუღალტრები შეიძენენ შესაბამის უნარებს და მოახდენენ აუდიტის პროფესიონალებისთვის აუცილებელ კომპეტენციის დემონსტრაციას, მათ შეიძლება დასჭირდეთ უნარების უფრო მეტად განვითარება, სანამ აიღებენ მნიშვნელოვანი განსჯის პასუხისმგებლობას

სპეციფიკურ საწარმოსა (როგორებიცაა ბანკები, ფინანსური ორგანიზაციები, მოპოვებითი მრეწველობა, დაზღვევა) და გარემოს (როგორიცაა ტრანსნაციონალური აუდიტი) გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში.

ტრანსნაციონალური აუდიტი

70. ტრანსნაციონალური აუდიტი ტარდება იურიდიული პირის (საწარმოს) იურისდიქციაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი სესხის, დაბანდებისა თუ რეგულირების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რაც მოიცავს ყველა კომპანიას და სხვა საჯარო იურიდიულ პირებს, რომლებიც იმსახურებენ საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას თავის მოცულობით, პროდუქციითა თუ მომსახურებებით.

71. სანამ პიროვნება შეუდგება აუდიტის პროფესიონალის მოვალეობის შესრულებას გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის ტრანსნაციონალურ აუდიტში, მან უნდა:
   ა) დააკმაყოფილოს მოთხოვნები აუდიტის პროფესიონალის მოვალეობის შესრულებისთვის (გს 8, ნაწილი 2); და
   ბ) დააკმაყოფილოს 72 პუნქტში მოცემული მოთხოვნები.

72. განათლებისა და განვითარების პროგრამა აუდიტის პროფესიონალებისთვის, ტრანსნაციონალური აუდიტის ჩათვლით უნდა მოიცავდეს შემდეგ სფეროებს იურისდიქციისთვის, რისთვისაც ტარდება ტრანსნაციონალური აუდიტი:
   ა) შესაბამისი ფინანსური აღრიცხვა და აუდიტის სტანდარტები;
   ბ) ჯგუფური და მრავალ ადგილიანი აუდიტის კოტროლი;
   გ) შესაბამისი მოთხოვნები;
   დ) შესაბამისი კორპორატიული მმართველობის მოთხოვნები;
   ე) შესაბამისი ეროვნული რეგულირების ჩარჩოები; და
   ვ) გლობალური და ლოკალური ეკონომიკა და ბიზნეს გარემო.

73. ტრანსნაციონალურ აუდიტში ჩართულმა აუდიტორებმა შეიძლება აღმოაჩინონ, რომ პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევების გამოყენება შეიძლება იყოს რთული სხვადასხვა კულტურული კონტექსტის მიერ (მაგ: ნორმები, ჩვევები, ქცევები)

სპეციფიკური საწარმოები

74. ზოგიერთი იურიდიული პირი მოქმედებს მკაცრად რეგულირებად საწარმოებში (როგორებიცაა ბანკები და ქიმიური კომპანიები). ფინანსური ანგარიშგების მარეგულირებელი კანონი და დადგენილება შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სპეციფიკურ საწარმოებსა და გარემოში. გარდა ამისა, შეიძლება განსხვავდებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, აღიარებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების გამო.
75. არარეალურია იმ დამატებითი ცოდნის აღწერა, რაც სპეციფიკურ საწარმოებში მუშაობისთვისაა აუცილებელი. ინდივიდუალურმა პროფესიონალმა ბუღალტრებმა და აუდიტორულმა ფირმებმა უნდა დაამტკიცონ, რომ აუდიტის პროფესიონალებს გააჩნიათ მოთხოვნილი

კომპეტენცია თავის მოვალეობის შესასრულებლად. (მტკიცება მოპოვებული უნდა იყოს ხარისხის კონტროლის შემოწმების გზით - კოტე)

პრაქტიკული გამოცდილება

76. სპეციფიკურ გარემოსა თუ საწარმოში აუდიტის პროფესიონალებისათვის აუცილებელი აუდიტის პრაქტიკული გამოცდილება უნდა შემოწმდეს, სანამ ამ გარემოსა თუ საწარმოში აიღებენ პროფესიული განსჯის პასუხისმგებლობას გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტში. აუცილებელია, რომ გამოცდილება იყოს საკმაოდ ხანგრძლივი და ინტენსიური, რაც საშუალებას მისცემს აუდიტის პროფესიონალებს მოახდინონ დემონსტრაცია:
   ა) საჭირო ცოდნისა; და
   ბ) რომ მათ შეუძლიათ საჭირო უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევების გამოყენება, რომელებიც მოითხოვება სპეციფიკურ გარემოსა და საწარმოში სამუშაოს კომპეტენტურად შესრულებისთვის.